სახალხო გაზეთი

№ 913 შაბათი, 8 თიბათვე 1913 წ. № 913

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ ოვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 5 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190

ჟურნალ „განათლების“ რედაქცია აცხადებს, რომ კვირას ივნისის 9-ს, დიდუბის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი შარშან პირველ ივნისს გარდაცვალებულის საზოგადო მოღვაწის და დიდებული პედაგოგის

იაკობ გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად.

ახალი კლუბი
(საზამთრო თეატრი)
შაბათს, 8 ივნისს 1913 წ., გაიმართება
კონცერტი
დ. ი. არაყიშვილის
ნაწარმოებთაგან.
ქ-ნ მ. კოლოტოვისა, და ბ-ნნ ი. სარაჯიშვილისა, ა. შანშიაშვილისა და ი. პოლომარენკოს მონაწილეობით.

პროგრამა: შესავალი სიტყვა, ვოკალური და სიმფონიური მუსიკა. კლუბის სიმებიან ორკესტრს დირიჟორობას გაუწევს თვით ბ-ნი **დ. არაყიშვილი.** ბილეთების შეძენა და ჩაწერა წინდაწინვე შეიძლება თეატრის კასაში. დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღამოს 8½ სათზე. 1234

ახალი კლუბი
10 თიბათვიდან სადილები
(წევრთათვის, მუდმივ მოსიარულეთათვის და იმათ ოჯახებისათვის),
ნაშუადღევის 1 საათ. 5 საათამდე.
სტუმრები იხდიან შესასვლელად კაცები 50 კ., ქალები და სტუდენტები 25 კ.

ახალი კლუბი
კვირას, 9 თიბათვეს, საზაფხულო თეატრის სცენაზე
თ-დი ირაკლი გ. ვაჩნაძე
აჩვენებს თავის გამოგონილ **კრესლოს**
„თვით-მატარებელს“.
დაწვრილებით აფიშებში. ადგილების ფასი 40 კ. მანეთამდე, სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან კაცები 50 კ., ქალები 25 კ. **დასაწყისი 9-ნახევ. ს.**

ЦИРКЪ Бр. АЗГАРЦ

ძმ. აზგარცების ცირკი
მიხეილის პროსპ., № 113, „აპოლლოს“ თეატრის გვერდ.
შაბათს, 8 თიბათვეს,
დიდი, საგასტროლო არაჩვეულებრივი წარმ.
მსგავსად სატახტო ქალაქებისა, შაბათობით დანიშნულია საუკეთესო, ნარჩევი ნომრები. ამ დღეს მონაწილეობენ სამუსიკო ექსცენტრიკები **ძმ. გორდრეხები**, მსოფლიო ანტრაქციონი—**სამება; ჯამბაზების ადერფრისების** სანახაობა. მსროლელი ქალის, მე-XX საუკ. დიანის, **ქ-ნ მისს ვინჩესტერის** გასტროლი. მონაწილეობენ საკვირველი ადამიანები. გასტროლი **მადამ დინახი,** რომელსაც თან ახლავს თავისი ხუმარა თანაშემწე და მრავალი სხვა. დაწვრილებით პროგრამებსა და აფიშებში.
ანონსი: **კვირას ორი დიდი წარმოდგენა. დილას და საღამოს.** 342

პირველ ხარისხოვანი დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვებისა
საკუთარი საზაფხულო სადგომი მუშტაიდის შესავალთან. შაბათს 8 თიბათვეს მოხდება დიდებული გახსნა
საზაფხულო სეზონისა
რადგან სურვილი გვაქვს ყოველ მხრივ ვასიამოვნოთ პატივსაცემი ტფილისის საზოგადოება ცირკის დირექცია იმას აჩვენებს, რის ნახვაც მხოლოდ სატახტო ქალაქების ცირკებში შეიძლება.
ახლად შედგენილი **დასი 60—კაცისგან შემდგარი,** პირველ ხარისხოვანი მსახიობები, ქალნი და კაცები. საჯინიბო გავამდიდრეთ საუცხოვოთ გაწვრთნილ **ცხენებით.** დასაწყისი საღამოს 8 საათ.
დირექცია **ძმ. ესიკოვებისა.** გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.** 240

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

იწვევს ტფ. თავად-აზნაურთ გუბერნიისას საგანგებო საგუბერნიო ყრილობაზე,

რომელიც შესდგება 23 თიბათვეს, დილის 10 საათზე თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს სადგომში (ბელინსკის ქ. № 2).

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება დამატებით ხელშეკრულებაზე და კახეთის რკინის გზის აქციების შეძენაზე;
2. მოხსენება პოლიტეხნიკუმისთვის მიწის შეძენის შესახებ
3. საკითხი გამოსყიდვაში მიღებული ფულის ნაწილის საერთო საქმეებისთვის მოხმარებისა.
4. მოხსენება დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის ხსენების უკვდავ ყოფის შესახებ.
5. მოხსენება—სათავად-აზნაურო სახლის უკეთესად ექსპლოატაციისა.
6. საკითხი საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაციისა.
7. კომისიის მოხსენება—სათავად აზნაურო კასის რევიზიის შესახებ
8. 1912 წ. ანგარიშის განხილვა და 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.
9. მოხსენება თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონის ანდერძით თავად-აზნაურობისთვის დატოვებულ მიწების შესახებ.

1345

ავლაბრის სახალხო თეატრი
კვირას, 9 თიბათვეს, 1913 წ.
ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველობის მიერ წარმოდგენილი იქნება:
დამა
ისტორიული დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი.
მონაწილეობას ღებულობს წრის მთელი დასი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები 4—50 კაპეიკამდე.
რეჟი ორი **რ სხლტუბია.**
1029

ა. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი
სახალხო სახლ. არს. ქართ. სახალხო წარმოდგენების მმართველი

წრის გამგეობა

კვირას, 9 ივნისს, 1913 წ., დილის 11 საათზე, სახალხო სახლში იწვევს

საზოგადო კრებას

შემდეგი კითხვების განსახილველად: 1) გამგეობის ანგარიში მიმავალ წლისა, 2) გამგეობის მოხსენება წესდების ზოგიერთ მუხლების ცვლილების შესახებ, 3) გამგეობის მოხსენება ქართ. სახ. წარმოდგენების უკეთესად მოწყობის შესახებ, 4) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1913/14 წ., ახალი წევრების დამტკიცება, არჩევნები ახალი გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიისა. წრის გამგეობის თავმჯდომარე **ეფ. მესხი.** 1160

გორის საზოგადოების
საურთიერთო ნდობის ბანკი

აცხადებს, რომ საზოგადოების

წევრთა მორიგი წლიური კრება

დანიშნულია **ამა 1913 წლის 9 ივნისს, ქ. გორში, შუადღის 11 საათზე, ბანკის სადგომში.**

განსახილველი საგნები:

1. 1912 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3. არჩევნები სამი საბჭოს წევრისა თ-დ გრ. ნიკ. ამირაჯიბისა, დ. რ. მაჭავარიანის და მ. ვ. ახალბედაშვილის ნაცვლად, რომელთაც ვადა გაუთავდათ.
4. არჩევანი გამგეობის წევრისა გ. დ. კვალიევის ნაცვლად, რომელსაც ვადა გაუთავდა.
5. არჩევნები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამი კანდიდატისა, რომელნიც შეამოწმეიენ 1913 წლის ანგარიშს.
6. საზოგადოების საბჭოს, მიმღები კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ჯილდოს შესახებ საკითხის გამორკვევა და მის რაოდენობის გადაწყვეტა.
7. საზოგადოების საბჭოს მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ.

1224

ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1 ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
	სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე [illegible].
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1.
	ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ. ა.** შაბათობით 10½—11.
	ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12
	ფონდოევი გ. ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
	ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. ზ. ღავათიანი საფასურით. წ. 1035

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთ., **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **გახსნილის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ. № 94** კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფილ. პირდაპირ. 102

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

ექიმი ბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. სად. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5. სახ. მაქარაშვილისა.

ექიმი ივ. გომართელი პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., სად. 6—8 ს. **ხემითხოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემითხ. ქ., № 16.** 1159

ექიმი შ. ა. მიქელაძე.
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ.—8 ნახ. საათ. კახეთის ქ., № 6.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშით პეტერ. სააგენტო)

6 თიბათვის სხდომა

რ—ძი ნკო თავმჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა შორის არის კანონპროექტი დამატებით ხარჯისა, რაც კრონით 30,000 ავსტრ. კრონს უდრის ჩერნოგორიის მცხოვრებთა გამოკვებისთვის დასახმარებლად.

მომხსენებელი **კრუპენსკი** უდგენს სათათბიროს გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას 100 მილიონი 206.297 მან. და აღნიშნავს, რომ სამინისტრომ ზომები მიიღო სათათბიროს მიერ გამოთქმული სურვილი—აღმოსავლეთის საპრაქტიკო აკადემიის დაარსება და ფინლანდიის ჩათრევა საგარეო სამინისტროს ხარჯების გასაწევად—აისრულებინა, მაგრამ სამინისტრომ საკმაო ენერგია ვერ გამოიჩინა ამ ზომების აღსრულებლად, ამიტომ საჭიროა ამ სურვილის განმეორება.

მომხსენებელი სამინისტროს ყურადღებას აქცევს იმას, რომ რუსეთის ქვეშევრდომებს ელჩები საკმაოდ ვერ უგდებენ ყურსა. ელჩებისგან საელჩო სამსახურის საქმე ვერ არის რიგიანად დაყენებული; საჭიროა საბოლოოდ გადაწყდეს წმ. სპირიდონის სამხედრო საავადმყოფოს მამულების შემოსავლის განაწილების საკითხი მოლდავიაში. საბიუჯეტო კომისიის სახელით გადასასვლელ ფორმულას ადგენს.

გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწე **ნერატოვი** აცხადებს, წმ. სპირიდონის საავადმყოფოს მამულის შემოსავლის საკითხის შესახებ მოლაპარაკება გვაქვს გამართული რუმინიის მთავრობასთან და საკითხი მალე მოისპობა. სამინისტრო სცდილობს უკეთ მოაწყოს აღმოსავლეთის ენების შესწავლის საქმე და საჭიროდ სცნობს საელჩო სამსახურის რეფორმას. მუშაობა ამ მხრით წინ მიდის და ეგებ 1913 წელშივე საჭირო კანონ-პროექტი შემოვიტანოთ. რაც შეეხება იმ ხარჯების შემოკლებას, რომელიც საზღვარ-გარეთის საელჩო დაწესებულებათა ქირას ეხება, მინისტრის თანაშემწე სთხოვს სათათბიროს ეს გამოტოვებული ხარჯები აღადგინოს, რადგან ეს ხარჯი საჭიროა და სინამდვილეს შეეფერება.

მომხსენებელი **კრუპენსკი** მინისტრის თანაშემწეს უპასუხებს და ითხოვს, რომ ხარჯთ-აღრიცხვა კომისიის გამოანგარიშებით იქმნას მიღებული.

მილიუკოვი სწუხს, რომ ავადმყოფობა გარეშე საქმეთა მინისტრს (......?), რადგან მის უკანასკნელ განცხადების შემდეგ დიდი ამბები მოხდა, აღმოსავლეთის საკითხის მთელი მდგომარეობა შეიცვალა. ორატორი ეხლანდელ ამბებს უბრუნდება და აცხადებს, რუსეთის მთავრობამ იცოდა ბულგარეთ-სერბიის ხელშეკრულება, რამაც მთელი საქმე მოაწყო, და შესამჩნევი გავლენა მოახდინა ამ ხელშეკრულების შემუშავებაზე. ის ალბათ მონაწილეობასაც იღებდა საზღვრის დადების საქმეში ბულგარეთსა და სერბიის შორის. ეხლა კი რუსეთის მთავრობა სერბიელებს უჭერს მხარს, ამით ავსტრიელების სამწუხარო მეზობლობას [illegible]. ჯერ მილანის ავსტრიასთან ხელშეკრულება იპარებოდა სერბიის გავრცელებას ვარდარიის მიდამოებისკენ. თუმცა არ შეიძლება ვსთქვათ, რუსეთის დიპლომატიამ საქმის ვითარება არ იცოდეს, მაგრამ მაინც შეიძლება გავკიცხოთ; ბალკანეთის კავშირს გზას უკაფავდა და ამით ხელს უწყობდა ოსმალეთთან ომს. ამიტომ უკანასკნელ წუთს სცდილობდა ბულგარეთი სერბიისთვის დაეშორებინა და სერბია ბულგარეთისთვის. ომის გამოცხადების დღიდან რუსეთის დიპლომატიის მოქმედება მოსაწონია; მას ჩვენი მოკავშირენი მუდამ მხარს უჭერდნენ. ორატორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სამთა თანხმობის მოპირდაპირე სახელმწიფოთა ჯგუფიც მშვიდობიანობის დაცვას სცდილობდა. საზოგადოდ ევროპა მშვიდობიანობის გუნებაზე იყო ომის დროს, რაც ბევრში მიეწერება პაციფიზმის გავრცელებულ იდეას. დიდი დამსახურებაა ჩვენი დიპლომატიისა, რომ არამც თუ ავსტრია, რუმინიაც კი შეიკავა. რუსეთი ჩაურევლად ახერხებდა ბალკანეთის მოკავშირეთა დაცვას და მათ მოქმედებას სიფართოვეს აძლევდა. რუსეთმა კი არ დაუშალა სერბიას ადრიატიკის ზღვისკენ გზის გაკაფვა, რუსეთმა კი არ შექმნა ალბანეთი, მან ყველა მოიმოქმედა სერბიის ინტერესების დასაცავად ამ მხრით. ალბანეთი ცალ-მხრივ მფარველობის ქვეშ არ იქნება; სერბიამ ფართო საკომერციო უფლებები და მთელი ევროპის გარანტია მიიღო ადრიატიკის ზღვისკენ გასვლისა; ჩერნოგორიისთვის გამოთხოვილია ადგილებით დაჯილდოვება. მიმდინარე წუთი მთელი გაკეთებულ საქმის დაფუშას იმუქრება. სტრატეგიულ მოსაზრებით მთელი მაკედონია სერბიელებმა და ბერძნებმა დაიჭირეს. მოკავშირეთა ხელშეკრულებისადმი სერბიელები ამით ბოროტ-მოქმედებენ. ორატორი ფიქრობს, რომ მცხოვრებთა მხრით მაკედონია მთლიანი რამ არის, დანაწილება მისი არ შეიძლება. საკითხის სწორე გადაწყვეტა იქნებოდა მაკედონიისთვის სრული ავტონომიის მინიჭება; მაგრამ ეს ეხლა შეუძლებელია, რადგან მოკავშირეთა ხელშეკრულებით ის უკვე გაყოფილია. მაკედონელები თავის თავს ბულგარებათა სთვლიან, მოკავშირეთა ჯარების შესვლა მაკედონიაში მათ უხაროდათ და განმათავისუფლებლებათა სთვლიდნენ. ეხლა მათ იმედი გაუცრუვდათ, რადგან ბერძენ-სერბებმა დაიპყრეს მათი მიწა-წყალი და მათ ძალით ტერორის საშუალებით ბერძნებად და სერბიელად ჰხდიან. ორატორს ამის დამამტკიცებელი საბუთები მოჰყავს.

მომეტებული მაკედონელები—ეგზარხისტები არიან. სერბები თავიანთ უსაჭიროეს ინტერესებზე გვითითებენ, მაგრამ ადრიატიკის ზღვისკენ გასავალი მათ უკვე უზრუნველყოფილი აქვთ, მეორე სალონი-

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული** და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606“-ით 1053

ივერიელი

კისკენ მაშინ ექნებათ, როცა მოკავშირეთა შორის უთანხმოება მოისპობა და ერთმანეთში სადამოჟნო კავშირს შეჰკვრენ.

ბულგარეთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა ბალკანეთზე. ეს რუსეთისთვის და აგრედვე სერბიისთვის ხელსაყრელია, თუ ის ბულგარეთთან ერთად განახორციელებს თავის საეროვნო მიზანს. ბულგარეთთან მეგობრობა სერბიისთვის უკეთესია, ვიდრე ასეთი დანაწილება მაკედონიისა, რომელიც დაუსრულებელ უთანხმოებას გამოიწვევს. სერბია წამდაუწუმ სცვლის თავის მოთხოვნას საბერძნეთთან საზღვრის დებების თაობაზე: იანვარში სერბიელები მხოლოდ პრილეპის შესახებ ფიქრობდნენ, მხოლოდ აფიცრები ბიტოლიისა და შოვინისტური პრესსა მთელ მაკედონიის დაპყრობაზე ოცნებობდნენ. ეხლა შოვინისტების მხარეზე პრემიერი პაშიჩიც გადავიდა. თავისს მოთხოვნილებათა დასასაბუთებლად სერბიელები ჯერ ხელშეკრულებას ემყარებოდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა, ადგნენ და ეხლა თვით ხელშეკრულება უარჰყვეს. საქმე აირია, მაგრამ უმაღლესი დეპეშა გამოჩნდა; იგი ამბობს, რომ ხელშეკრულება ძალაშია და ამიტომ ბალკანეთის მეფეები ვალდებულნი არიან თავიანთი მოვალეობანი აასრულონ. ბულგარეთმა უპასუხა დეპეშაზე, რომ არბიტრაჟის თანახმაა. სერბია უარყოფს არბიტრაჟს, რადგან ხელშეკრულებისა არა სწამს რა. ორივე მხარე თავ-თავიანთ აზრზე დადგა. ორატორი სიამოვნებას გამოსთქვამს პრემიერების კრების გამო პეტერბურგში, მაინც აღნიშნავს სიძნელეს ამ საქმისას. არბიტრაჟის მოთხოვნა არ შეიძლება, თუ ერთი მხარე მაინც უარს არის. შუამდგომლობის გზაღა დაგვრჩა, თორემ ევროპა მისდამი უყურადღებობას დაგვწამებს.

საჭიროა, არა მარტო პრემიერების მოსვლა, მათი შეთანხმებაც. ამისთვის კი საჭიროა, მათ შეიგნონ, რომ ყველაფერი რუსეთის მონაწილეობით არის გაკეთებული. (ტაში). მაშინ ისინი დათმობის გზაზე წავლენ, რაც ორივე მხარისათვისაა საჭირო. მაგრამ რუსეთის დიპლომატიისთვისაც საჭიროა სიფრთხილე და თავდაჭერილობა: უსაჭიროესი ინტერესი სლავიანთა უნდა მაღლა იდგეს, ვიდრე ჩვენი თავმოყვარეობა. ჩვენ 1885 წ. შეცდომა არ უნდა გავიმეოროთ, როცა საშუალება არ გვქონდა ძმათა შორის ომი თავიდან აგვეცილებინა, ჩვენ ერთს სლავიანთა მხარეს გაუწყრით და სლავიანთა ქვეყნებიდან წავედით, რითაც გავლენა დავკარგეთ (ტაში).

ორატორმა სომხეთის საკითხს მიჰმართა და მოითხოვა, დრო ხელიდან არ გაუშვათ, ეხლავ ყურადღება მივაქციოთ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია მიაქცევს ყურადღებას, ეს კი ჩვენი უფლებაა და მოვალეობა, სან-სტეფანეს ხელშეკრულებით მიღებული. ბერლინის ხელშეკრულებით ეს ჩვენი ხელშეკრულება ინგლისს გაუყავით, მაგრამ ნამდვილი თვალის ჰერა მცირე აზიის შინაურ საქმეებზე რუსეთის გარდა არვის შეუძლიან. ინგლისმა ეს გაიგო და 1894 წ. ჩვენ მოგვმართა სომხეთში არეულობის მოსასპობად. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ სომხეთის ავტონომია ჩვენ ინტერესებისათვის ხელსაყრელი არ არის, თუმცა ჯერ ავტონომიის შესახებ ლაპარაკიც არ არის და პირდაპირ ელემენტარულ უფლებების მოთხოვნაზეა აქ ლაპარაკი. მე მგონია რუსეთის უარი სომხეთის რევოლუციის შიშით იყო გამოწვეული.

ორატორი ამ რევოლიუციას მოჩვენებათა სთვლის, თავ. გოლიცინის პოლიტიკით გამოწვეულსა. კავკასიაში სომხების ზომიერება დამოწმებულია არა ერთხელ რუსეთის ხელმწიფებისგან. დაშნაკცუტიუნი საშიში იყო მხოლოდ ძველი ოსმალეთისთვის. მთელი სომხობა რუსეთისკენ იწევს და ეს ლტოლვა ძლიერ ხელსაყრელია ჩვენი ჩარევისთვის სომხეთის საკითხში. სომხებს ნამდვილი რეფორმები სჭირიათ, სახელმწიფოთა კანტროლ ქვეშ, რაც ხელს აღარ უშლის რუსეთისა და ინგლისის ერთმანეთისადმი უნდობლობა, არც (....?.

რეფორმებს საფუძვლად უნდა დაედვას რუმელიის კომისიის 1879 წლის ნამუშავარი და 1880 წლის კანონი ვილაიეთების შესახებ.

შორეულ აღმოსავლეთში დიდად მნიშვნელოვანი ამბები მზადდება: მონგოლეთმა და ტიბეტმა თავი დამოუკიდებლად იცნეს და ერთმანეთში კავშირი შეჰკრეს; ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ მონგოლეთთან და მოლაპარაკება გვაქვს გამართული ჩინეთთან. ორატორი გარკვეულობას და ერთგვარობას ვერა ჰხედავს რუსეთის პოლიტიკაში, შორეულ აღმოსავლეთში; ჩვენ ან გადამეტებით მაგრად ვიქცევით, ან და გადამეტებით ვშიშობთ. მონგოლეთში ვილაცები გამოჩნდნენ რეკომენდაციებით და კონცესიებს ეძებენ, როგორც მანჯურიაში. მონგოლების განწყობილება ჩვენდამი ბოლო დროს ძლიერ შეიცვალა; ისინი რუსეთს აბრალებენ მონგოლეთის დაპყრობის სურვილს და ჩინეთს უახლოვდებიან (ტაში).

ჩხენკელი რუსეთის გარეშე პოლიტიკას დაპყრობითსა და იმპერიალისტურად სთვლის. რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მეტადრე სპარსეთისადმი გამოჩნდა. ბალკანეთის საკითხში დიდ სახელმწიფოთა მთავრობანი პირდაპირი დამნაშავენი არიან მომხდარ ომისა. რუსეთის ბურჟუაზია ბევრჯელ ასისინებდა რუსეთის დიპლომატიას მეზობელ ქვეყნებზე. ნაციონალური ტალღა, რომელიც რუსეთის ბურჟუაზიას სლავიანოფილობის სახით მოედო, ანგარიშს არ უწევს მრავალ მილიონიან ზომიერ მაჰმადიანობას რუსეთისას. რუსეთის მშრომელი დემოკრატია რუსეთის ბურჟუაზიის გზას არ გაჰყვება. რუსეთისა და ბალკანეთის სოციალისტები მაკედონიისა და ალბანეთის ავტონომიის მომხრენი არიან და ჰსურთ შეჰქმნან ერთიანი დემოკრატიული ფედერატიული ბალკანეთის რესპუბლიკა.

გრაფი **ბობრინსკი** აცხადებს, რომ რუსის ნაციონალისტები როცა მიზნად ისახავენ ჯვარის ბრძოლას ნახევარ მთვარესთან და წმ. სოფიის ტაძარზე ჯვრის აღმართვა ჰსურთ, ეს ისე ესმით, როგორც სლავიანთა განთავისუფლება მონობისგან და არა მაჰმადიანთა დამონება. ორატორს ჰსურს, რუსეთმა ისეთივე უანგარო პოლიტიკა აწარმოვოს ბალკანეთზე, როგორც აქამდის. ორატორი შენიშნავს, რომ მილიუკოვი აქ ერთი მხარის ინტერესების შესახებ ლაპარაკობს: ის ბულგართა თვალსაზრისს იცავდა და არაფერი სთქვა სერბიის ინტერესების შესახებ. ბობრინსკი შეუძლებლად სთვლის მილიუკოვს გამოეკამათოს და სერბების ინტერესები დაიცვას, რადგან ამ ძნელ პირობებში უკანასკნელი გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მთელ სლავიანთა ერების უმაღლესს მსაჯულს—თეთრ მეფეს. ეხლა დრო არა არის მთავრობის კიცხვისა შეცდომებისთვის. ხელმწიფის დეპეშამ ბალკანეთის მეფეებისადმი ბოლო მოუღო კრიტიკას. რუსეთის საზოგადოებრივ აზრმა, როგორც მთელ სლავიანობამ, პირში წყალი უნდა დაიგუბოს და ჩუმად იყოს მიუკერძებელ მსაჯულის განაჩენის მოლოდინში. ამ მხრით მილიუკოვის სიტყვა, თუმცა მეტად საინტერესოა, მაინც არა სასურველია და უტაქტო. რუსებ შორის არ არიან არც ბულგაროფილები, არც სერბოფილები, არიან მხოლოდ სლავიანოფილები.

აზრი, რომელიც აერთებს ეხლა რუსეთის საზოგადოებრივ აზრსა და სათათბიროს—შიშია ძმათა შორის ომისა, სლავიანობის მტრების გასახარად. თუ მთავრობა მოახერხებს მოკავშირეთა შორის მშვიდობიანობის დაცვას, მთავრობა ღრმა მადლობის ღირსი იქნება. ორატორი იმედიანობს, რომ მთელი სათათბიროს სურვილის გამომთქმელი იქნება, თუ იტყვის, რომ ნეტავ ჩქარა ჩაქრეს უთანხმოება ბალკანეთის სლავიანთა შორის, რათა დაემორჩილონ იგინი ბრძნულსა და მიუკერძებელ გადაწყვეტილებას უმაღლესს მსაჯულის—რუსეთისა და მთლად სლავიანთა თეთრ მეფისას. (ტაში მარჯვნით და ცენტრში).

პაპაჯანოვი. სათათბიროს ყურადღებას სომხეთის საკითხზე აქცევს. წინადვე ამბობს, რომ რუსეთის საზღვრებში სომხეთის საკითხი არ არსებობს: რუსეთში მცხოვრებ სომხებს არავითარი სეპარატისტული განზრახვანი არა აქვთ და არაფერი უნდათ, გარდა სარწმუნოებრივ თავისუფლების შენარჩუნებისა და ნაციონალურ კულტურის განვითარებისა. ორატორი სომხთა მდგომარეობას ეხება ოსმალეთში, ამბობს სომხეთის საკითხის ისტორიას, ლაპარაკობს სომხების ქონებრივ, უფლებრივ და უმიწობით მიყენებულ შევიწროების შესახებ და მაგალითებით ასაბუთებს, რომ სომხების სიცოცხლე და უშიშროება უზრუნველყოფილ არ არის. სომხეთის სათავეში უნდა გენ.-გუბერნატორი იქმნას დაყენებული—ევროპიელი; უმთავრესი კი ის არის, რომ რეფორმების შემოღება რუსეთმა იკისროს. რუსეთისკენ არის მიპყრობილი მთელი იმედი და სასოება სომხებისა. მხოლოდ რუსეთის ჩარევით შეიძლება რეფორმების შემოღება ხეირიან ნიადაგზე დადგეს.

მ. გეჰეცკი აცხადებს, რომ მთავრობამ არ შეასრულა მესამე სათათბიროს სურვილი, რომ რუმინიას ჩამოერთვას წმ. სპრიდონის მონასტრის მიწები. ერობის დავალებით ორატორი მოუწოდებს მთავრობას, რათა ეს მიწები ხაზინის სასარგებლოდ ჩამოერთვას რუმინიას, რადგან კანონიერი პატრონი მიწებს არა ჰყავს.

ვოლკოვი აღნიშნავს, რომ მონგოლეთში რუსის მუშებს რუსეთის საელჩოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მათი უუფლებობა და დამონება არ მგონია რუსეთის პრესტიჟს მონგოლეთში რამეს შეჰმატებდეს. (ტაში ყველა სკამებზე).

ხარჯთ-აღრიცხვა საბიუჯეტო კომისიის ანგარიშით მიიღეს. მიიღეს კომისიის ფორმულა.

შემდეგი სხდომა ხვალ არის.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მეღვინეობისა და მევენახეობის ტფილისის საგუბერნიო კომიტეტმა** შეიმუშავა და დაამტკიცა თავისი სამოქმედო პროგრამა, რომლითაც მიღებულ იქმნა მთელი რიგი ზომებისა გუბერნიაში მევენახეობისა და მეღვინეობის გასავითარებლად, სახელდობრ: საცდელი ვენახების გაშენება, რომელთა მიზანი იქნება გამორკვევა იმისა, თუ რა გვარი ჯიშის ვენახი უფრო ჰხარობს სხვა და სხვა ნიადაგზე; კურსების მოწყობა მეღვინეობისა და მევენახეობის სხვა და სხვა საკითხის გამოსარკვევად, განსაკუთრებით შესწავლა დამყნობისა და ამ მიზნით დარიგება შესაფერი წიგნაკებისა და სხვა და სხვა პოპულიარულ გამოცემისა; გამორკვევა იმისა, თუ რამდენი კერძო პირთა ვენახია მოშენებული და რა ღირსებისა; მევენახეთათვის დახმარების აღმოჩენა მეღვინეობისა და მევენახეობისათვის საჭირო სხვა და სხვა იარაღის და ხელსაწყობის შეძენის საქმეში; ამ მიზნით უნდა იქმნას მიღებული ზომები, რომ სკოლებში და დაბა-ქალაქებში არსებული კოოპერატიული და საკრედიტო ამხანაგობები შეუკავშირდეს მევენახეთ და იმათი საშუალებით იქმნას გამოწერილი, საიდანაც ჯერ არს, საჭირო იარაღები და მასალები. გუბერნიაში მეღვინეობის გამოსარკვევად კომიტეტის სპეციალისტი-წევრები შეჰკრებენ სხვა და სხვა ცნობებს და ამ ცნობების მიხედვით მიღებული იქნება საჭირო ზომები. ამ ზაფხულს კომიტეტს აზრად აქვს გამოიკვლიოს კახეთში, — თელავისა ალაზნისა და ქობალოს ველზე,— ვენახები, რომ საბოლოოდ გამორკვეულ იქმნას ფილოქსერით დაზარალებულ ვენახების რაოდენობა, რათა შესაძლებელი გახდეს ენერგიული ზომების მიღება ფილოქსერის ბუდეთა აღმოსაფხვრელად.

◆ **ჟურნალისტი ლევან ყიფიანი** ამ ჟამად ავად არის.

◆ **საბირჟო ცნობები.** 7 ივნისს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 80 კ., აძლევენ—85 მან. 50 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 60 კ., აძლევენ—83 მ. 25 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მან. აძლევენ—80 მან. 25 კ.

◆ **სატრაქტირო გადასახადი.** სამშაბათს, 11 თიბათვეს, კრება ექნება ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას. კომისიამ უნდა შეიმუშავოს დებულება, რომლითაც მომავალში უნდა იხელმძღვანელონ სატრაქტირო გადასახადის გაწერის დროს.

◆ **ოქმები.** სავაჭრო სამეურნეო მეთვალყურემ 6 თიბათვეს სალდათის ბაზარში ცხრა ოქმი შეუდგინა მეპურეებს დაყასხების პურსა და ხორცის ნიხრის დარღვევისათვის.

◆ ქალაქის გამგეობის წევრი **მ. ნ. ათაბეგოვი** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის საპატიო მზრუნველად დაამტკიცა.

◆ **ექსკურსია.** 29 ივნისს ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურენი სანაინს გაემგზავრებიან, სადაც დაათვალიერებენ სპილენძის ქარხანას, მონასტრებსა და სხვა შესანიშნავ ადგილებს.

◆ გუშინ სახელოსნო სასწავლებლის ბოლო კლასის მოსწავლენი, რიცხვით 39 კაცი, ბაქოს გაემგზავრნენ, სადაც ქარხნებსა, ნავთიან ადგილებსა და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს დაათვალიერებენ.

◆ **სასულიერო უწყებაში.** გუშინ ტფილისიდან გაემგზავრნენ: ბათომს—საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი, გორს—ყოვლად-სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა და კახეთის —ერევნის ეპისკოპოსი პიმენი.

◆ 6 თიბათვეს, საღამოს 10-საათზე ვიპოვნე ლისიციანის კერძო ლომბარდის კვიტანცია პატრონს ვთხოვთ მიჰმართოს კალ. გოგიბერიძეს, მალაკნის ქ, № 27.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მექი ფალავა 143 ხმით წინააღმდეგ 20, გამგეობის წევრად აირჩიეს გიორგი ლასხიშვილი 132 ხმით წინააღმდეგ 37. კომიტეტის წევრად აირჩიეს სვიმონ წერეთელი და ქილაძე.

ტფ. ქალაქის საბჭო

ხუთშაბათს, 6 ივნისს, მოხდა ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა, ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. რამოდენიმე წვრილ საქმის გარჩევის შემდეგ, ბ. ხატისოვმა სთხოვა საბჭოს ზაფხულის ბოლოს ხუთი კვირით სამსახურიდან დათხოვნა დასასვენებლად. თხოვნა ერთხმად შეწყნარებულ იქმნა. შემდეგ საბჭოს მოხსენდა გამგეობის მოხსენება ლუიზა მადერის მემკვიდრეებთან საქმის მორიგებით გათავების შესახებ. ლუიზა მადერს უანდერძებია ქალაქისათვის თავის ქონებიდან ათი ათასი მანეთი, იმ პირობით, რომ ამ თანხას სარგებლით შენახულ იქმნას მისი შვილი, სულით ავადმყოფი, შეშლილთა თავშესაფარში. მაგრამ ფულად ამდენი თანხა მადერს არ აღმოსჩენია. მისი ავადმყოფი შვილი კი ქალაქის თავშესაფარში მოუთავსებიათ. მისი შენახვის ხარჯები დაახლოვებით უდრის ხუთი ათას მანეთის სარგებელს, ამიტომ გამგეობას გადაუწყვეტია ლუიზა მადერის მემკვიდრეებთან მორიგებით გაათაოს საქმე და დაკმაყოფილდეს 10.000 მ. მაგიერ 5.000 მ. მიღებით. საბჭომ მიიღო მოხსენება. მიღებულ იქნა აგრეთვე გამგეობის ასეთივე მოხსენება პორფიროვის მემკვიდრეებთან საქმის მორიგებით გათავების შესახებ. შემდეგ საბჭო გადავიდა მთავარ საკითხებზე. საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება კრწანისში ი. გ. თამამშევის მამულის მოწესრიგების შესახებ. ბ. თამამშოვი თხოულობს გან-

---

ყვავილებში

12.*)

მიხვდა ბაბუცა, რომ ცხოვრებაში იგი ვერ ივლიდა ჩვეულებრივი გზით, აქ ის ყოველთვის უნდა ჩამორჩენოდა სხვებს, დაჩაგრული ყოფილიყო, უარყოფილი, განდევნილი. ეს შარა ბუნების საყვარელ ნაშენთათვის იყო გაჭრილ-გატკეცილი, სრული სახით ქმნილ შვილთათვის. იმისთანა იღბლიანნი სიცილ-თქართქარით მიემართებოდნენ იმ გზით და თუ ყოველთვის ბედნიერნი არ იყვნენ, მაინც ჰხვდებოდა თვითეულ მათგანს წუთი სიტკბოებისა და ესეც ხომ ძვირფასია მუხთალი საწუთროს შვილთათვის და დაუვიწყარი. ბაბუცა კი გერი იყო ბუნებისა, მაკიერ სხეულ შესხმული და არავითარი უფლება არა ჰქონდა ეცხოვრნა ბუნებრივად. ქალს წინად ვერ გაეთვალისწინებინა ეს და ძლიერი მისწრაფებით გატაცებული ეტანებოდა რჩეულთათვის შემზადებულ ტაბლას, რომელზედაც კერძი არ ედგა მას. აკი სასაცილო ხდებოდა და საზიზღარი! ბევრი სიმწარე განიცადა, წინადამ მოისპო კიდეც არსებობა, თითქო სიცოცხლე და ცნობიერება შეუდარებელი ხიჭი არ ყოფილიყოს დამბადებელისაგან ბოძებული, თითქო სახამ თვითცნობა არ ჩაჰქრობია ქნილებას, ღვთის სახის მატარებელი არ იყოს იგი და თვით ღმერთი სათაყვანებელი, თუნდაც შეუგნებელ ძალთაგან დათრგუნვილი!

ეხლა ბაბუცამ ჰპოვა საკუთარი ბილიკი ცხოვრების სივრცეში, მიაგნო თვის სავანეს ქვეყანაზე. საკვირველიც კი იქნებოდა, რომ ამ უზარმაზარ დუნიაზე, ცხოვრების გარეშე მოუწყვრელ ოკეანეში რომელსამე ქმნილებას, თუნდაც მახინჯს და უსახოს, არა ჰქონოდა თვისი შესაბამი ადგილი თუ საქანი, ოღონდ კი სასოწარკვეთილებას არ მისცემოდა იგი და არ დაჰკარგოდა ძებნის უნარი. განა მართლა ისეთი უსამართლოა დამბადებელი, რომ თავის გაჩენილისთვის წყალობა რამ არ მიაპყრო სიუხვისაგან თვისისა, ან თვისი ყოველ კეთილით სავსე კალთა ისე დაებერტყა ქვეყანაზე, რომ ვინმე გადარჩენილიყო უმოწყალოდ, მთლად უნამცეცოდ.

ბაბუცამ ისიც შეიგნო, რომ ეს ახალი მისი სავანე მხოლოდ თავისთვის შეჰქმნა მან და განკერძოებით წარმართა თვისი ცხოვრება, საზოგადო სიხარულს თუ სიმძიმილის გადაღმა. შეიკრიფა იგი თავის ქერქში და იქ მოაწყო ახალი რამ ყუდე თავისებური, თავის ხორცისა თუ სულის შესაბამ-შესაფერი. და თანდათან მოსწყდა ქალი ნათესავებს, ნაცნობებს, მთელ ხალხს. ეხლა ის თითონ ერიდებოდა ადამიანიშვილს, ცდილობდა არავითარი კავშირი არ დაეჭირნა არვისთან. ისე გადაეჩვია ხალხში ყოფნას, რომ თუ უნებლიეთ მოჰყვებოდა საზოგადოებაში, კრთებოდა, განზე იწევდა; გული უფთხრიალებდა, როგორც რამ მფრინველს შებყრობილის.

— ნახე, როგორ შეფრთხალი გამოიყურება კუზიანი; არავის ეკარება.

— ლაპარაკიც კი აღარ ეხერხება: ან ხმა ამოუღებელი ზის და თვალებს აფეთებს, ან ხორხოშელასავით აყრის სიტყვას და სწყვეტავს უეცრად; დარბაისლურ მუსაიფს მთლად გადაჩვეულა.

— რა ედარბაისლება!

აგონებდნენ უზრდელნი მწარე თქმას, დამცინავის ღიმილით შეჰყურებდნენ, ზიზღით ზურგს უქცევდნენ; მედიდურნი სულაც ვერ ამჩნევდნენ. და განშორდა კაცთა ნათესავს ეს შუა ქალაქში მცხოვრები ადამიანი, მიმოსვლისათვისაც კი მიყრუებულ ქუჩებს ირჩევდა, მივარდნილ ბილიკებს ეტანებოდა.

— სწორედ უკაცურად უნდა იყოს შექმნილი ადამიანი, რომ შესძლოს ესეთი განმარტოვება.

— ეგეთ ცხოვრებას ის ურჩევნია, თავი მოიკლას.

რა იცოდნენ, რომ ბაბუცას შემოქმედ სულს შეეთხზა აწ სიცოცხლე საოცნებო, სავსე საკუთარის მისწრაფებით თუ სურვილით, სიხარულით თუ სიმძიმილით და ცოდვა იყო მისი სიკვდილი.

13.

— შენ, ჩემო სატრფოვ, მეტად ნაზი ფერი დაქცევს; ცოტა რომ მუქი იყო, ყინჩი, უფრო დაჰშვენდები. აბა რასა ჰგეხარ გაცრეცილი?! ეგონებათ, გენაცვალე, კარგად არა ხარ მოვლილი; ეგონებათ, შენი ხელი არ იცის შეხმა ბაბიკომ,—ეუბნებოდა ქალი იას.

და ცოტა მეტი საღებავი მისცა ქსოვილისაგან დამზადებულ იის ფურცლებს, შეყარა შემზადებული ფოთლები ერთად, ღეროდ შეღებილ მავთულზე აასხა იგინი; ჩაუსვა შუაზე კუპი, სანაყოფო თუ წრეები; მორცხვად თავი დაუხარა ყვავილს და განზე გასწია ხელი, რომ უფრო კარგად დაეთვალიერებინა დამზადებული ყვავილი.

— არა, საყვარელო, არც ეგრე მორცხვად უნდა თავის დახრა, ცოტა უფრო მაღლა აიღე სახე და ისე გამოიხედე მაცთურად; უფრო მეტად დაგშვენდება მაშინ კდემამოსილობა.

ქალმა ცოტად აუწია თავი და იგიც მიუმატა იების ჯგუფს, რომლებიც ქაღალდის ყუთში იყვნენ დარგულნი წითელ იების მახლობლად. ძარღად მუშაობდა ქალი; მის ჯადოსან თითებში წუთზედ ისახებოდა, ღივდებოდა, კოკრდებოდა და იფურჩქნებოდა გაზაფხულის სამკაული. გაიმსო ყუთი. ბაბუცამ დაუწყო მზერა თავის ნამოქმედარს, ეღიმოდა.

— იცით, სატრფიალნო, ცოცხლებსა ჰგევხართ, ნიადაგიდან აღმოცენებულთ! სუნი რომ არა გაქვთ, თქვე საწყლებო. გულს ნუ შეგვაკლდებათ, ცოტა მოითმინეთ!

ქალი მიბრუნდა, მოიღო ნელსაცხებელი და აპკურა ყვავილებს. ნაზი რამ სუნი გავრცელდა ოთახში, მოჰბერა ბუჩქთა და იათა სუნნელებამ.

— არა, ენძელაჯან, ძალიან მაღლაცა აგიღია ე ლამაზი თავი: მაინც და მაინც ისეთი არაფერი ხარ, იების წინ ამაყობდე, თუნდაც წითელ იის წინ. უნდა გახსოვდეს, ჩემო კარგო, რომ უფრო იმისთვის გვიყვარხარ, რადგან პირველი ყვავილი ხარ განახლებულის სიცოცხლისა, მახარობელი მოახლოვებულის, უკვე მოსილის გაზაფხულისა. ახლა რა ვუყოთ, რომ იაც კი დაგნატრის:

„ნეტავი შენ, ენძელაო:
წელიწადში სამჯერაო!
ერთხელ მოვალ-მოვშავდები,
ქალის ხელში ჩავშავდები".

ეუბნებოდა ქალი ენძელებს, რომლებიც იქვე ახლო ჩამწკრივებულიყვნენ ჯგუფჯგუფად და მართლა ერთობ მოღერებინათ ყელი. მივიდა, დაასწორა, უფრო ბუნებრივად დააჭერინა ღერო თუ ფურცლები.

— შენ, ეი, შროშანავ, რა ძალიან თავი მოგწონსო შენი სისპეტაკით! ვიცით, ვიცით, რომ უბიწო ხარ და მისთვის გადაპენტილხარ თეთრად. მაინც საჭირო არ არის ეგეთი ყოყოჩობა: გახსოვდეს, რომ ქალწულებრივი სიწრფელე რაც უფრო წყნარია და ნაზი, იმდენი უფრო მიმზიდველია და სუნნელოვანი.

— შე საბრალო, ვარდო ყვითელო! რამ დაგაღონა, რა მწარედ ჩაგიკიდნია თავი? ხომ არა გწყინს, რომ ცრიატი ფერი მოგეცი? ყვიციანს ხომ არ გეძახიან შენი ღობილები? იქნება გშურს, რომ აიმ ვარდთა ბუჩქებსავით წითელი არა ხარ და ლადანა. გულს ნუ დაგაკლდება, გენაცვალე, ნურც გეფიქრება: იქნება შენ უფრო ადრე გიპოვოს შენმა ყისმათმა და წაგიყვანოს, რომ შენის წყნარის სილამაზით დაუმშვენოს მას ყოფა. გახსოვდეს! ბევრს ფერმიღებული კეკლუცი უფრო მოსწონს, მინაზებულ-მიმქრალებული, სინამ გამოწითლებული, ურცხვად გამოჟინჟღილებული. მაშ!

— როგორ მალე გეწყინათ ჩემი სიტყვა, ვარდო წითელო და შენც, ლაჟღაჟო! უფრო გაწითლდით. ნუ ნუ გშურთ საწყალი ჩაყვითლებული ვარდისადმი ტკბილი სიტყვა ჩემი. გულს ვუკეთებ საბრალოს, რომ მთლად არ დაიჩაგროს, თორემ აბა ვინ შეგედრებათ თქვენ?! თქვენი ღადანა სიწითლე, თქვენი თვალთწარმტაცი სიყირმიზე თვით სისხლია აჩქეფებული, ხოლო სურვილთა უძლეველის ძალით აჩუხჩუხებული სისხლი თვით სიცოცხლეა ტკბილი, ნეტარი!

ესაუბრებოდა ბაბიკო თავის ყვავილებს, უალერსებდა, ესაყვარლებოდა. ყველას გამოეხმაურა იგი: მიხაკსაც, სუმბულსაც, ყაყაჩოსაც, ნარგიზსაც. იასამანსაც, ტუხტსაც კი ყვითელს თუ წითელს, არავის გულს არ შეაკლო. ყველას მოჰფინდა იგი თვის ზრუნვას, ხელს ახმარებდა ასწორებდა, აფაქიზებდა.

მარდად აშენებდა ქალი ახალახალ ყვავილებს. ამ გრძნეულის ხელიდან ულევლად დიოდა ყვავილთა ნაკადი. მხოლოდ ათასში ერთხელ შეაყენებდა ბაბუცა ხელს, მოტეხილი ფრთებივით ჩამოჰყრიდა მკლავებს და ღრმა რამ ფიქრი თუ ზრუნვა აღიბეჭდებოდა სახეზე.

— ახ, აი მაგონდება, მაგრამ ვერ მომიგონია! ვიცი, ეხლა ძალიან კარგად ვიცი, რომ სამართლიანად მომაგო მოსაგებელი მართლმსაჯულმა შემოქმედმა, მაგრამ მაინც რომ ვერ გამხსენებია!—იტყოდა ქალი ჰმუნვით და ისევ მოეგებოდა თავს, შეუდგებოდა ნაჩვევ საქმეს.

ოთახის შუა დიდი მაგიდა იდგა; ზედ ეყარა სხვადასხვა ჯურის მავთულები შეღებილი ან ფერად ქსოვილ მოხვეული; ათას ფერი ქსოვილი, საღებავები, სამხატვრო კალმები, ნაირნაირი მაკრატლები, დანები, მაყაშები და ათასი სხვა ყვავილთა საკეთები იარაღი. ამ მაგიდაზე მუშაობდა ქალი, ეს იყო მისი დაზგა, მისის შემოქმედების ფარგალი. მთელი ეს ოთახი საყვავილედ იყო ქცეული, ერთი მთლიანი თაიგული იყო ყოველგვარ ყვავილთაგან შეთხზილი. ყვავილთა შორის მოჩანდა ხან აქ, ხან იქ მათი შემოქმედი ბაბუცა. მისი აწ უკვე ჩაფიქრებული თვალები, მისუსტებული ფერმკრთალი სახე, მაღალი შუბლი, რომლისათვის მჭმუნვარე ჰაზრს გადაესვა თვისი ფრთა და რომელსაც შარავანდედათ შემოჰხვევიყო თავისუფლად აკრული უკვე შეთრთვილული ხშირი თმა, თავისებურ მიმზიდველობასა სძენდნენ ბეჩავს. უღონო შურისა და ბოროტების ნაცვლად მის სახეს საკუთარი ძალისა და შემოქმედების ნასახი აღიბეჭდოდა და პატივცემას იწვევდა მისადმი.

(დასასრული იქნება)

ვ. ბარნოვი.

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 9.2.

თავისუფლებულ იქმნას იგი თავის მამულში გზების მოკირწყლისაგან. საბჭომ უარჰყო თამამშევის თხოვნა.

დიდი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ წყნეთისა და ქობის ქუჩების კუთხეში დ. ზ. სარაჯიშვილის მამულის მოწესრიგების შესახებ. საქმე შემდეგშია: აქ მდებარეობს დ. ზ. სარაჯიშვილის საკუთრება—1630 ოთხკუთხი საჟ. მიწა. თანახმად ზ. სარაჯიშვილის ანდერძისა ეს მიწა უნდა გაიყიდოს და ფული გადაეცეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებულ საზოგადოებას ქართული მუზეუმის სასარგებლოდ და სტიპენდიების დასანიშნავად. სარაჯიშვილის მემკვიდრეებს უცდიათ ანდერძის სრულყოფა და მიწის გაყიდვა, მაგრამ ერთად ასეთი დიდი ნაჭერის გაყიდვა ვერ მოუხერხებიათ. ამიტომ, გაყიდვის გასაადვილებლად გადაუწყვეტიათ მიწის დაჭრა და ამისათვის ქობის ქუჩიდან რამდენიმე ქუჩაბანდის შეყვანა მამულში. როცა ასეთი პროექტი წარუდგენიათ ქალაქის საბჭოსათვის, საბჭოს, 4 მარტის სხდომაზე, დაუდგენია: მიეცეს დ. ზ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებს ქუჩაბანდების გაყვანის უფლება იმ პირობით, თუ მთელ ქობის ქუჩას, რომელიც ხსენებულ მამულის გასწვრივ მდებარეობს, ერთ საჟენ მიწას ჩამოუჭრიან, და ამნაირად 5 საჟენიან ქუჩას 6 საჟენად გადააქცევენ. სარაჯიშვილის მემკვიდრეები თხოულობენ საბჭოს ამ დადგენილების გადაშინჯვას და უარყოფას, ვინაიდან ასეთი ჩამოჭრით მათ ეკარგებათ 73 ოთხკუთხი საჟ. მიწა, რაც დიდად საზარალოა, და გარდა ამისა, იმათ არც კი ძალუძთ, თანახმად ანდერძისა, მიწის ამნაირი გაჩუქება.

ტიგრანოვის აზრით ქობის ქუჩის გასაგანიერებლად ჩამოჭრილი მიწა დანაკარგად ჩასთვალი არ იქნება, ვინაიდან ეს ასწევს დანარჩენ მიწის ფასს. რაც შეეხება ქუჩაბანდებს (**тупикъ**), მათი მნიშვნელობა ქალაქისათვის უარ-ყოფითია.

თოიძეს წინადადება შემოაქვს 1 საჟენის მაგივრად სარაჯიშვილის მამულს ჩამოეჭრას სამი საჟენი, რომ ქობის ქუჩა 8 საჟენიანი გახდეს. ჯერ ერთი მხრით ეს ქუჩა გაშენებული არ არის, თორემ როცა რამოდენიმე სართულიანი სახლები წამოიჭიმება—ეს ქუჩა საცოდავ სანახობას წარმოადგენდეს იქნება და მერე გაგანიერებაც ყოვლად შეუძლებელი გახდება.

მამულოვი. თუ ქუჩაბანდებისათვის მიწის ჩამოჭრის უფლება აქვთ, რატომ ქუჩის გასაგანიერებლად ვერ ჩამოსჭრიან მიწას?

ვაჩნაძე ეკამათება ტიგრანოვს და ახსენებს მას, თუ როგორ ამტკიცებდა იგი ქუჩაბანდების საჭიროებას ქალაქისათვის.

კითხვას კენჭი უყარეს. დიდის უმრავლესობით საბჭომ დაადგინა: დარჩეს ძალაში ძველი დადგენილება და სარაჯიშვილის მემკვიდრეებს კვლავ მოეთხოვოს ერთი საჟენი მიწის ჩამოჭრა ქობის ქუჩის გასაგანიერებლად.

გარჩეულ იქმნა რამდენიმე მოხსენება გამგეობისა სხვადასხვა პირთა მამულების მოწესრიგების შესახებ. საბჭომ მიიღო აგრეთვე გამგეობის მოხსენება ალაევის მემკვიდრეთა სახლის შეძენის შესახებ. მეორე მოხსენებამ გიგოლოვისაგან მიწის შეძენის შესახებ დიდი კამათი გამოიწვია. გოგოლოვის მიწა მდებარეობს ხოჯევანოვის ქუჩაზე, ზომით შეიცავს 245 ოთხკ. საჟენს და ფასობს 6 ათასი მან. გამგეობა წინადადებას იძლევა შეძენილ იქმნას ეს ადგილი შიოევის თანხით და აშენდეს ზედ სკოლა შიოევის სახელობაზე. ამასთანავე ა. ი. ხატისოვი კითხულობს ქ-ნ შიოევის ანდერძს, რომლითაც ქალაქის განკარგულებაში გადადის შიოევის სახლი. ამ სახლის შემოსავლის სარგებლით დაარსებულ უნდა იქმნას სახელოსნო სკოლა განსაკუთრებით სომხებისათვის. შეიძლება სხვა ტომის ბავშვებიც იქნას მიღებული, მაგრამ სხვებს სწავლის ფასი გადახდებათ.

ბეზობრაზოვი. ანდერძის ძალით ჩვენ არ შეგვიძლიან მიწის ყიდვა, ჩვენ მხოლოდ სკოლის აგება და მისი შენახვა გვაქვს დავალებული. ამიტომ შიოევის თანხას ნუ მოვაკლებთ და სკოლისათვის მოვძებნოთ ქალაქის მიწა.

ბაბოვი. ქალაქს მიწა ნავთლუხში აქვს, და იქ კი ყოვლად შეუძლებელია სკოლის აშენება, ამ სიშორეზე ბავშვები ვერ ივლიან და ამის გარდა იქაური ადგილიც არ ვარგა სასკოლოდ.

ბეზობრაზოვი. რა ყიცი, როცა პოლიტეხნიკუმის აშენებაზეა კამათი, თქვენგან ყური გამოყრუებული მაქვს ნავთლუხის ქებით და ახლა სკოლისათვის რატომ უნდა იყოს გამოუსადეგარი ნავთლუხი.

პაპოვი. ბ-ნებო! ანდერძის თანახმად სკოლაში მიღებულ იქნებიან მხოლოდ სომხის ბავშვები. რა თქმა უნდა ასეთი სკოლისათვის მიწაც საკუთარი უნდა იქნეს შეძენილი და სახლიც. ქალაქის მიწაზე ასეთი სკოლის აგება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ქალაქის მიწა ეკუთვნის სომხებსაც, ქართველებსაც, რუსსაც, თათრებსაც და სხვ.

საბჭომ მიიღო გამგეობის მოხსენება.

დასასრულ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ა. ა. მელიქ-აზარიანცთან მისს სახლსა და ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის შენობის შუა ქუჩის გაყვანის საკითხის შესახებ შეთანხმებაზე. ა. მელიქ-აზარიანცმა ააშენა დიდი სახლი ოლღის ქუჩასა და ვერის დაღმართის კუთხეში. ამ შენობას ოლღის ქუჩაზე მისდევს ფოსტა-ტელეგრაფის შენობა. ამ სახლებს შორის ქალაქს აქვს მიწის ნაჭერი, რომელიც უნდა შეეძინა მელიქ-აზარიანცს და ზედ გაეყვანა ქუჩა ოლღის ქუჩის კარუსელნი ქუჩასთან შესაერთებლად მტკვრისკენ ვერის ხიდზე გასასვლელად. მელიქ-აზარიანცს მიწის ყიდვაზე უარი უთქვამს და სურვილი განუცხადებია ქუჩის რაოდენიმე საჟენზე თავის მიწაზე გაყვანისა. ამას გარდა მელიქ-აზარიაცს მიუღია თავის თავზე წყლის საყვანი მილების გაყვანა და ამ კუთხის კანალიზაციის საუკეთესოდ მოწყობა. ამ ალაგას ქუჩის გაყვანა დიდად სასარგებლოა მთელი ამ კუთხისათვის, რადგანაც აქ აუარებელი მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო ქუჩები და ქუჩაბანდები ისე ავიწროებენ შენობებს და ხუთავენ ჰაერს, რომ ყოველნაირი გადამდები ავადმყოფობა პირველად აქ იკიდებს ფეხს. ამიტომ ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა ხმოსნებს, ამ საკითხის უფრო დეტალურად გამოსარკვევად დაინიშნოს ადგილობრივი გამშინჯვა ხმოსნების მიერ და შემდეგ დასაბუთებული მასალებით გადაჭრილ იქნას საკითხი ქუჩის გაყვანის შესახებ. საბჭომ თანხმობა განაცხადა. შაბათს, 5 საათზე, როგორც გამგეობის წევრები ისე ხმოსნები გაემგზავრებიან ადგილობრივ დასათვალიერებლად ხსენებულ ადგილს.

ქალაქის მოურავმა განუცხადა ხმოსნებს, რომ ორშაბათს დანიშნულია საბჭოს უკანასკნელი სხდომა და სთხოვა ხმოსნებს არ დააკლდნენ ამ სხდომას.

ქართული მუსიკა

დღეს ჩვენი კომპოზიტორი ბ-ნი დ. არაყიშვილი ჰმართავს კონცერტს იგი მოასმენს ქართულ საზოგადოებას როგორც ზოგიერთ ადგილებს თავის ორიგინალურ ოპერიდან, ისე სხვადასხვა ნომრებს. ეს კონცერტი, როგორც წინათ მოსმენილი კონცერტები ბ-ნი ფალიაშვილისა, უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ჩვენი მუსიკა განვითარების გზას ადგება და ღრმა შინაარს იღებს. საზოგადოებასაც, როგორცა სჩანს, სწყურიან ევროპიულ ჩარჩოებში ჩასხმული, ტეხნიკურად გაღრმავებული ეროვნული მუსიკა. ბ-ნი დ. არაყიშვილის კონცერტი უეჭველია უღრმეს ესთეტიურ სიტკბოებას აგრძნობინებს ყველას, ვისაც უყვარს ქართული მუსიკა და სწამს მისი განვითარება. ჩვენ საშუალება მოგვეცა მოგვესმინა საკონცერტო ნომრები რეპეტიციებზე და, მართლაც, ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა. ქართულია იგი თავისი ხასიათით და ლამაზი ტეხნიკითა და ჰარმონიზაციით.

პირველ განყოფილებაში ბ-ნი დ. არაყიშვილი წაიკითხავს მოკლე რეფერატს შემდეგ თემაზე; „ქართული ხალხური სიმღერები და ქართველთა კულტურა". მეორე განყოფილებაში იქნება: 1) ქართული ხალხური სიმღერები დ. ე. არაყიშვილის ჰარმონიზაციით; 2) რომანსები და პიესები ვიოლონჩელისთვის ფორტეპიანოსთან ერთად შეასრულებს ე. ნ. კაპელნიცკი. მესამე, სიმფონიურ განყოფილებაში შესრულებული იქნება; 1) შესავალი მეორე სურათისა ოპერიდან: „თქმულება შოთა რუსთაველზე"; 2) სიმღერა მგოსნისა იმავე ოპერიდან, შეასრულებს მომღერალ ქალთა გუნდი და ივ. სარაჯიშვილი; 3) პრელიუდია და ფუგა სიმებიან ორკესტრისათვის; 4) ცეკვა ესმერალდისა სიმფონიური ორკესტრისათვის; 5) საზანდრული, სურათი; 6) ქართული ცეკვა; შეასრულებს ახალი კლუბის სიმებიანი ორკესტრი.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი კოლოტოვისა, ი. პ. სარაჯიშვილი, ა. გ. შანშიაშვილი და ე. ნ. კოპელნიცკი.

საყურადღებო ცნობები

(ცოტა რამ სტატისტიკიდან)

„კავკასიის კალენდარში" დაბეჭდილია ოფიციალური სტატისტიკური ცნობები კავკასიის მცხოვრებთა რიცხვის, სწავლა-განათლების და მრეწველობის შესახებ. საჭიროდ მიგვაჩნია მივაწოდოთ მკითხველებს ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ. ცნობები შეეხება 1911 წელს. ყველაზე უწინარეს საგულისხმიეროა რაოდენობა მცხოვრებთა საქართველოს ტერიტორიაზე (ტფილისის და ქუთაისის გუბ., ზაქათალ., ბათომ. და სოხუმის ოლქები) და მათი დანაწილება ეროვნების მიხედვით.

ვბეჭდავთ ცხრილს უმთავრეს ეროვნებათა აღნიშვნით:

	საერთო რიცხვი:	ქართველი:	სომეხი:	რუსი:	მაჰმადიან:
ახალქალქ. მაზრა	99.725	6806	76.446	6926	8546
ახალციხის „	92.526	8224	28.996	746	49.156
ბორჩალოს „	163.925	7937	65.591	11.220	47.659
გორის „	226.472	150.983	30.000	3087	31
დუშეთის „	71.470	63.028	3117	287	116
სიღნაღის „	169.944	138.573	25.525	9914	5.991
თელავის „	70.811	58.294	11.960	497	1773
თიონეთის „	44.510	39.706	1256	84	2390
ტფილისის „	398.950 აქედან ქალაქში 306.814	98.125	129.420	85.481	25.994
სულ გუბერნიაში	1.338.216	551.927	382.365 [1]	118.262	141.826
ზუგდიდის „	126.184	125.601	2	154	383
ქუთაისის „	279.149	262.003	1668	12.095	—
ლეჩხუმის „	58.314	58.239	—	28	—
ოზურგეთის „	106.080	105.514	15	135	—
რაჭის „	87.060	85.853	416	—	—
სენაკის „	139.570	133.037	1333	2740	—
შორაპნის „	192.550	188.143	1707	992	—
სულ ქუთ. გუბერ.	988.917	948.663	5438	16.177	—
ზაქათლ. ოლქი	81.103	5226	3302	792	71.635 [2]
ბათუმის . მაზრა	96.323	73.164	7021	9457	1844
ართვინის „	64.916	14.565	10.172	712	38.762 [3]
სულ ბათომ. ოლქ.	161.239	87.729	17.193	10.169	40.606
სოხუმის ოლქი	167.375	27.088	10.267	25.399	—
სულ საქართველოში	2.736.850	1.620.633	418.565 [3]	170.799	266.147 [2]

ასეთია ოფიციალური ცნობები. უეჭველია, შიგ ბევრი შეცდომა იქნება და შესწორება ესაჭიროება. მაგალითად, თუმცა ხსენებული ცნობები აღიარებენ ქართველ მაჰმადიანებს ქართველებად, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ბათომის და ზაქათალ. ოლქებში და ახალციხის მაზრაში მრავალი ქართველი მაჰმადიანი მაინც ჩარიცხულია ცალკე მაჰმადიანების ჯამში. მერე ოფიციალური სტატისტიკა დღემდის არა სცნობს კათოლიკე ქართველებს და ისინი უთუოდ სომხებს მიაწერა, არა გრიგორიან სომხების რიცხვში შეიტანა.

თუ დაახლოვებითს შესწორებას შევიტანთ ზემოდ დასახელებული კალენდრის ცნობებში და თუ მცხოვრებთა რიცხვს ათასობით დავთვლით, გამოვა, რომ 1911 წელს საქართველოში იყო 2.737 ათასი მცხოვრები, მათ რიცხვში ქართველი 1.770 ათასი, სომეხი, 400 ათასი, რუსი, 171 ათასი, მაჰმადიანი 236 ათასი და სხ. ესე იგი ქართველები შეადგენენ 64,7 პროცენტს, სომხები 14,6, რუსები 6,3, მაჰმადიანები—8,6.

საგულისხმიეროა, რომ ახალქალაქის, ბორჩალოს და ტფილისის მაზრებში ქართველები უმცირესობას შეადგენენ. ტფილისის მაზრაში რომ ქართველების რიცხვი მცირეა, ეს აიხსნება იმით, რომ აქ ქალაქის მცხოვრებნი სჭარბობენ სოფლისას და ქალაქში კი ქართველებს მცირე ადგილი უკავიათ.—უნდა დავუმატოთ, რომ კავკასიაში გარეშე საქართველოსა სხცოვრობს 20 ათასამდე ქართველი.

---

[1] ამ რიცხვში მთავრობას შეუტანია არა სომეხ-გრიგორ. 32,561.

[2] ამაში დიდი წილი ქართველი მაჰმადიანი იქნება

[3] ამაში არა სომეხი-გრიგორ. 33,332.

ლენის ამბები

(ოფიციალური ცნობა).

გამოქვეყნდა ანგარიში სენატორის მანუხინის მოხსენებისა. როგორც ვიცით, მანუხინს უმაღლესად დაევალა ლენის ამბების რევიზია. ლენის ამხანაგობა დაუარსებია 1890 წელს სავაჭრო სახლის მეიერის და კომპ. მეთაურს ბარონ გინცბურგს. 1901 წ. ამხანაგობის საქმეები ცუდად წასულა. მაგრამ მალე, სახელმწიფო ბანკის დახმარებით, საქმეები გამობრუნდა, და ამხანაგობამაც იმ რაიონის ოქროს საქმე ხელთ იგდო. 1909 წ. ამხანაგობამ სახელმწიფო ბანკს ვალი გადაუხადა. ამის შემდეგ ფულს სესხულობდნენ ინგლისის ბანკიდან: „ლენა გოლდფილდს". თანახმად სენატორის მანუხინის მოხსენებისა, ლენის ამხანაგობის მიზანი ისა ყოფილა, რომ ყოველგვარის, კანონიერის თუ უკანონო საშულებით, რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღო. რა თქმა უნდა, ასეთს პირობებში მუშათა მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მუშათა ბინები უვარგისი ყოფილა. სამუშაო ტეხნიკურად არ იყო მოწყობილი კარგად, საცხოვრებელი სანოვაგე გაძვირებული იყო. ამხანაგობის მაღაზიები მუშების მდგომარეობას კი არ აუმჯობესებდნენ, თვით ამხანაგობას აძლევდნენ 12 პროც. თვით ჯამაგირიც მუშებს შეუმცირდათ. ყველაზე ბნელი მხარე ამხანაგობის მოღვაწეობისა ის არის, რომ ადმინისტრაცია ბელოზეროვის მეთაურობით ავიწროვებდა და გულგრილად ექცეოდა მუშებს. მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, რაიცა იმითიც აიხსნება, რომ ადგილობრივი წარმომადგენლები მთავრობისა მატერიალურად ამხანაგობაზე იყვნენ დამოკიდებულნი. აღმოჩნდა, რომ ამხანაგობა სრულიად უკანონოდ ჯამაგირს აძლევდა პოლიციასა და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს. ასეთი არანორმალური მდგომარეობა იწვევდა მუშების ეკონომიურ ხასიათის გაფიცვებს. 1912 წლის უკანასკნელი გაფიცვაც, სენატორ მანუხინის აზრით, ეკონომიური ხასიათისა იყო: მუშები მხოლოდ ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებასა სცდილობდნენ, მათ გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი არა ჰქონია.

ამის შემდეგ სენატორი მანუხინი აწერს 4 აპრილის ხოცვა-ჟლეტის ამბავს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ როტმისტრი ტრეშჩენკო, რომელმაც მუშები დახოცა, უკანონოდ მოიქცა. ამიტომ სენატორმა ტრეშჩენკო სამართალში მისცა და სამსახურიდან გადააყენა.

„კახეთი"-ს საზოგადოებაში

3 ივნისის კრება.

კრება დაიწყო დილის 11 საათზე.

თავმჯდომარე **თ-დ ს. ვახვახიშვილი** წინადადებას აძლევს კრებას იკამათონ ვაჭრობის გადიდების და ბაზრების მოპოვების საკითხის შესახებ.

თავ. ვ. ვაჩნაძე და **გ. ქიქოძე** განმარტავენ გეგმას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს საზოგადოებამ, რათა თანდათან მოიპოვოს რუსეთში ბაზრები ისეთია კახური ღვინო, რომ თუ მას კაცი ერთხელ შეეჩვია, მუდამ იმასა სვამს. კახურ ღვინოს ქიშპობას ვერვინ გაუწევს.

თავ. ვ ვაჩნაძე. მხოლოდ სარდაფების გახსნა ისეთ რაიონებში, სადაც ღვინის მრეწველობა არ არის გავრცელებული, საზარალო იქნება.

დ. გამყრელიძე სურვილს გამოსთქვამს, რომ განყოფილებებთან „ვოიაჟორები" იყოლიონ.

თავ. ლ. ვაჩნაძე. გადასაწყვეტია ორი საკითხი: პირველი საკითხია—განყოფილებების გახსნით ვაჭრობის გაფართოება. გ. ქიქოძემ სწორედ მიუთითა ქ. როსტოვზე. თუ ჩვენ აქამდე როსტოვს უკან ვაყენებდით, მხედველობაში ისა გვქონდა, რომ საქმე ფრიად სერიოზულია, ბევრ ხარჯს გამოიწვევს, სხვა ქალაქებში კი—არა. გამგეობა იზიარებს ამ აზრს და სთხოვს კრებას ნება დართოს გამგეობას განყოფილების გახსნისა.

ვ. ავალიშვილი. წინადადებას იძლევა საკითხი პრინციპიალურად გადასწყდეს, მხოლოდ განხორციელება კი გამგეობას დაევალოს.

თავ. ვ. ვაჩნაძე შეუძლებლად სცნობს, რომ განყოფილებები გახსნას გამგეობამ, კრების ნებადაურთველად.

თავ. ს. ვახვახიშვილი. აქ ერთი საკითხია სრულიად სხვა ხასიათისა. შემთხვევა იყო, როდესაც გამგეობას შეეძლო განყოფილების გახსნა, სრულიად უხარჯოდ, ე. ი. პასუხის მგებელი თვით არ იყო. გარეშე პირი თხოულობდა ნებას ევაჭრა საზოგადოების ღვინოებით. მე მგონია საკითხი ასე შეიძლება გადავწყვიტოთ: თუ საკუთარი განყოფილების გახსნა განიზრახეს, ამას გამგეობის ნებადაურთველად ვერ შეასრულებენ და თუ კი კერძო პირი თხოულობს უფლებას, მაშინ გამგეობას უფლება ჰქონდეს ამის გადაწყვეტისა.

გ. რცხილაძე. ამ საკითხის გაფართოვება შეიძლება და რასაკვირველია გამგეობას ასე თუ ისე უფლება ექნება ნების დართვისა. მაგრამ აქ ერთგვარი შიში იბადება. თუ საზოგადოება კერძო პირს აძლევს უფლებას, რომ ჩვენი ღვინოებით ივაჭროს და ჩვენი განყოფილების სახელი ატაროს, ამით თქვენ პასუხის გებას კისრულობთ მესამე პირის წინაშე, რომელსაც მასთან დამოკიდებულება ექნება. ვაჭარი ყველა საქმეს „კახეთის" საზოგადოების სახელით გააკეთებს და პასუხისმგებელიც საზოგადოება იქნება.

თავ. ვ ვაჩნაძე გამგეობა კრებას სთხოვს უკვე არსებული განყოფილებები საჭიროდ სცნოს და აგრეთვე ნება დართოს გამგეობას განყოფილებები ქ. როსტოვსა და ციმბირში გახსნას.

თავმჯდომარე როსტოვის შესახებ საკითხი გამორკვეულია, ეხლა კი ვიბაასოთ ციმბირის შესახებ.

გ. რცხილაძე. ახალი განყოფილებების გახსნა საჩქარო არ არის. მეტ მნიშვნელოვანია ღვინით სავსე სარდაფების ქონა, წინაალმდეგ შემთხვევაში განყოფილებების გავსება ნაყიდი ღვინოებით მოგვიხდება, ეს კი არ არის სასურველი. საშიშ დაგვიანება კი არა, აჩქარებაა. საჭიროა, რომ გამგეობამ ყოველ ცალკე შემთხვევაში საზოგადო კრებას მოხსენება წარუდგინოს.

ქ. ზ. მაყაშვილი. საკითხი მოქმედების გაფართოების შესახებ უნდა გამოირკვეს განსაკუთრებულ კომისიაში, რომელიც არჩეული იყო წარსულ კრებაზე. გააკეთა რამე ამ კომისიამ თუ არა?

თავ. ლ. ვაჩნაძე სულ იყო სამი კრება კომისიისა და მუშაობას შედეგები სარჩულად დაედო გამგეობის მოხსენებას.

თავმჯდომარემ საკითხს კენჭი უყარა. კრებამ დაადგინა დარჩეს განყოფილებები: მოსკოვსა, ბათომსა, ბაქოსა, ასხაბადსა და ტაშკენტში. გარდა ამისა, პირველ თავში განყოფილება როსტოვში გაიხსნას. რაც შეეხება საკითხს, რომ გამგეობას ნება დაერთოს განყოფილებების გახსნისა: ვარშავაში, ციმბირში, ეკატერინოსლავში, იგი გადაიდო მომავალ საგანგებო კრებამდე, რათა გამგეობამ მანამდე ვრცელი მოხსენება დაამზადოს. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა მიწის ყიდვის შესახებ, სადაც უმთავრესი სარდაფის აგება უნდათ. გამგეობის მოხსენებით საუკეთესო ადგილი სარდაფისთვის სოფ. გურჯაანია.

გ. ქიქოძე და სხვანი. ჰფიქრობენ, რომ მოხსენება დასაბუთებული არ არის.

გრ. რცხილაძე. საკითხი სერიოზულია. ადგილის ამოსარჩევად უტყუარი ცნობებია საჭირო და, მაშასადამე, მუშაობაც. შეიძლება ადგილობრივ პირობებსაც აქვს რამე მნიშვნელობა ჰავისა და ნიადაგის მხრით, რომელიც გავლენას იქონიებს ღვინის გაკეთებაზე.

თავ. ს. ვახვახიშვილი. გ. რცხილაძის ნათქვამს უნდა დავუმატო, რომ აქ ყველანი ეკონომიურ მხარეს აქცევენ ყურადღებას, მაშინ, როდესაც საჭიროა ყურადღება ტეხნიკურ მხარეს მიექცეს.

სოფ. ველისციხე როგორც დაბალ ადგილას მდებარე უნდა გამოირიცხოს. უპირველესი პირობა სარდაფის ვარგობისათვის — სიგრილეა, მერმე კი—ვენტილიატორების მოწყობა. მე ვეთანხმები გ. რცხილაძის აზრს, რომ საკითხი სპეციალისტების მონაწილეობით უნდა გადასწყდეს. შეიძლება საზოგადო კრება დასთანხმდეს, ამოვირჩიოთ უფრო მცოდნე პირთაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალება ალაგის ამორჩევა.

გ. ქიქოძე. ბ-ნმა ვახვახიშვილმა კარგად იცის და ამიტომ ვთხოვოთ, კომისიას ხელმძღვანელობა გაუწიოს.

თავ. ლ. ვაჩნაძე. გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს თავ. ს. ვახვახიშვილს, კომისიის ხელმძღვანელი იყოს, რადგანაც ეს საქმე მისი შექმნილია და ყველაზე ზედმიწევნით აქვს შესწავლილი. კრებამ ერთხმად დაადგინა: საკითხი გადაეცეს სპეციალურ კომისიას და ამ კომისიის თავმჯდომარეობა თავ. ს. რ. ვახვახიშვილმა იკისროს.

შემდეგ კრებამ დაადგინა მომავალი საზოგადო კრება გაიმართოს ქ. თელავში, საგანგებო კრება კი, რომელიც შემოდგომაზე უნდა მოხდეს ტფილისში გაიმართება. დასასრულ კრებამ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა, რომელშიაც შესცვალა მხოლოდ ერთი მუხლი. გამგეობის წევრებს ჯამაგირი 200 თუმნად გაუხადა. ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცეს და მოხდა არჩევნები. ვადა გაუდიოდათ: თავმჯდომარეს თავ. ლ. ვაჩნაძის და სარევიზიო კომისიის წევრს ბ-ნ ტერიაშვილს, რომელნიც ამორჩეულნი იყვნენ თავად-აზნაურობის წინადადებით. კრებამ ერთხმად ისევ ისინი აირჩია.

ილიას მამული სოფ. ყვარელში

დიდებული ილია ჭავჭავაძე—მკითხველს ალბათ მოეხსენება—ს. ყვარელში (თელავის მაზრა) დაიბადა და იქვე აღიზარდა, ვიდრე სწავლის დრო მოუვიდოდა. აი ეხლაც შეუდრეკადა სდგას ის კოშკი, სადაც ირწეოდა პოეტის აკვანი. აი ის ეზო, სადაც მგოსანმა პირველად გადმოდგა ფეხი, მაგრამ ამ სახლ-კარის მდგომარეობა სრულებით არ შეეფერება მისი პატრონის სახელს.

თვით კოშკის კედლები კარგია, მაგრამ ილიას მიერ მიდგმული აივანი და კიბე დაძველებულ-დამპალა და ინძრევა. კიბეზე რომ ავდიოდი, მეშინოდა არ ჩაინგრეს მეთქი.

ეზოში ძველი ცალ-პირი სამი ოთახი სდგას. ეტყობა დიდი ხნის აშენებული იქნება და არც შემდეგ შეუკეთებიათ, კედლებიდან დაწყებული არაფერი ვარგა და არც არაფრისთვის გამოდგება.

ეზოშივე იმყოფება წისქვილი, რომელიც იქცეოდა და წ. კ. საზ. თელავის განყოფილებამ დროებით შეაკეთა, ეხლა ერთი თვალი ბრუნავს, მაშინ როცა ორიც თავისუფლად იმოქმედებს და მაშინ შემოსავალსაც მოიტანს. ასეთსავე მდგომარეობაშია დიდი მარანი.

ვეებართელა ორ დესეტინამდე ეზო შემოუფარგლავია, უბრალო ღობეც არა აქვს, გაშარავებულია. ამით უსარგებლია ერთ გლეხს და ეზოს ერთი კუნჭული დაუჭერია და თავისთვის შემოუღობავს, ამის შესახებ წ. კ. თელ. განყ. უკვე აღძრა საჩივარი. მეორე გლეხი წისქვილთან იჭერდა თავისთვის სასახლეს, მაგრამ ამასაც ხელი შეუშალა წ. კ. განყოფილებამ.

ერთი სიტყვით ეს, ყველა ქართველისათვის ძვირფასი, მამული ოხრდება, ტიალდება და ჩვენ მომავალ თაობას ეკარგება ეს შესანიშნავი ადგილ-მამული. ამ მამულს კი თითქო პატრონი ჰყავს.

თუმცა იგი ქართველ თავად-აზნაურობის საკუთრებას შეადგენს, ხოლო გადაცემული აქვს წ. კ. საზ. თელავის განყოფილებას მის განკარგულებაში, მაგრამ რა!? თუ კი ასე სამწუხარო გარემოებაში იქნება, ვინც უნდა ითვლებოდეს მის პატრონად და ვის განკარგულებაშიაც უნდა იყოს!? ეს უფრო უარესი, თითქოს პატრონი ჰყავს და პატრონობის ნაცვლად ოხრდება და უარესდება იგი.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ წ. კ. საზ. თელავის განყოფილებამ თითქმის თავის დაარსების დღიდან მიზნად გაიხადა ამ სახლ-კარის წესიერად მოვლა-გამშვენიერება, ხშირად ხან გამგეობის თავმჯდ. ამხანაგი მიდის, ხან წევრები, მაგრამ საშველი

არაფერია, საჭირო სახსარი, საჭირო დახმარება, რომ მამული მოწესრიგდეს და, როგორც გამგეობასა აქვს უკვე გადაწყვეტილი, ილიას სახელობაზე სკოლა გახსნას.

მამულის და საერთოდ სახლ-კარის მოსაგვარებლად საჭიროა არა ნაკლებ 5,500 მანეთისა, რომელსაც წ. კ. საზ. თელავის განყოფილება სთხოვს ქართველ თავად-აზნაურობას.

საკითხი ძრიელ მნიშვნელოვანია, ჩამაფიქრებელია. იმედია ჩვენი თავად-აზნაურობა ასევე შეჰხედავს და სასურველ გადაწყვეტილებას გამოიტანს თავის ჩვეულებრივ კრებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ნელ-ნელა აღიგვება პირისაგან დედამიწისა იმ მამულიშვილის სახლ-კარი, რომელსაც ამ ერთი თვის წინედ დიდებული ძეგლი აღუმართა მამა-დავითის მთაზე ქართველმა საზოგადოებამ.

დავიწყებული.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

6 თიბათვე.

უცხოეთი.

სოფია. მაკედონიის შინაგან ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ცენტრალურ კომიტეტის სახელით მინისტრ-პრეზიდენტს სახელმწიფოთა წარმომადგენელთ დეკლარაცია ჩააბარეს, რომელიც ამბობს, რომ მაკედონია ბულგარეთის ქვეყნად უნდა დარჩეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაცია ბრძოლას არ შესწყვეტს, რომ მაკედონიის მცხოვრებთა სურვილი დააკმაყოფილოს.

ლონდონი. ლონდონიდან წასვლისას მაჟაროვმა სთქვა, რომ პეტერბურგის კონფერენციაზე საბერძნეთი და სერბია ბულგარეთის წინააღმდეგ შეერთდებიან. თუ რუსეთს მშვიდობიანობის დაცვა სწადიან, უნდა ისარგებლოს ხელმწიფის მინიჭებულ არბიტრის უფლებით. დემობილიზაციას ბულგარეთი იმ შემთხვევაში დასთანხმდება თუ იმ მიწა-წყალზედაც იმფლობელებს, რაც სერბიამ დაიპყრო.

მუკდენი. მომეტებული გაზეთებისა შეუძლებლათ სთვლის რუსეთთან შეთანხმებას მონგოლეთის საკითხში ჩინეთის სათუო სუვერენიტეტის საფუძველზე და მოითხოვს სრულ აღდგენას ჩინეთის უფლებებისას.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატაში ზედმეტ ხარჯების დაფარვის კანონ-პროექტის განხილვის დროს მინისტრ-პრეზიდენტ ტისსამ განაცხადა: ავსტრო-უნგრეთი დანარჩენ დიდ სახელმწიფოებთან ერთად სტატუს-ქვოს დაცვის პრინციპზედ იდგა, მაგრამ ამასთანავე მან პირველმა განაცხადა, რომ არ შეიძლება ბალკანეთის ერებს გამარჯვების ნაყოფი წაერთვათო. აქ ცოტა წინააღმდეგობა სჩანს, მაგრამ ავსტრო-უნგრეთმა სტატუს-ქვოზე მიტომ სთქვა უარი, რომ ბალკანეთის სახელმწიფოებმა თვითვე მოახერხეს სრული დამოუკიდებლები გამხდარიყვნენ. უნუგეშობას ადგილი არა აქვს, პირიქით ბევრი წინანდელი დაბრკოლება აღარ არის. ავსტრია-უნგრეთის გარეშე პოლიტიკის მეთაურები სწორედ მოიქცნენ, რომ ბალკანეთის მოკავშირეთა გამარჯვებანი იცნეს. ჩვენ მარტო ორი პირობა დავდეთ: ალბანეთის დამოუკიდებლობა და ადრიატიკის ზღვის ნაპირებზე სერბიის მიერ ხელის აღება, რაც სხვა ხალხმა დაიპყრო. ჩვენი გარეშე დიპლომატიის მოქმედებამ გაიმარჯვა. თავშივე დაისვა საკითხი ინტერესის უქონლობისა. ერთი მხრით ამ აზრს ავსტრო-უნგრეთი ემხრობა, რამდენადაც იგი ახალ მიწა-წყლის შეძენას ეხება და საპატიო მდგომარეობის მოპოვებას. საზოგადოთ, ავსტრო-უნგრეთი მოვალეა ყველაფერს ბალკანეთზე ყური უგდოს და ვერ მოითმენს თავის ინტერესების დარღვევას. უმთავრესი მისი ინტერესი: ბალკანეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ის—დედა აზრია ჩვენი პოლიტიკისა ბალკანეთზე. ამ აზრით ვიხელმძღვანელებთ მუდამ. ეხლა ძლევამოსილი სახელმწიფონი დაპყრობილ ქვეყნების გაყოფაზე უნდა მორიგდნენ. ამ საკითხმა გამოიწვია დიდი უთანხმოება და მშვიდობიანობისადმი შიში დაჰბადა. ამ გარემოებაში მოხდა ცალკე გამოსვლა რუსეთისა ბულგარეთისა და სერბიის მიმართ. ამ გამოსვლამ ათასნაირი ხმები გამოიწვია და უდიდესი ყურადღება მიიპყრო საზოგადოებრივ აზრისა. ჩვენი თვალსაზრისი ეხლაც ბალკანეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის აღიარებაშია. როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფონი თვითვე აირჩევენ მორიგების გზას, ომს ან სამშვიდობო გზას, თითონვე ერთმანეთში მორიგდებიან, ან არბიტრაჟს, ან და მედიაციას გამონახავენ.

ორი უკანასკნელი ხერხი გადაწყვეტილების სრული თავისუფლების პირობებში უნდა განხორციელდეს. თქმა არ უნდა, არბიტრაჟი ან მედიაცია ჩვენ პოლიტიკას ვერ შესცვლიან. ისიც მართალია, რომ ჩვენ დავეთანხმებით იმგვარ მოწესრიგებას, რომელიც ბალკანეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას უზრუნველჰყოფს. ამ პრინციპის შენარჩუნებას ჩვენ უსაჭიროესს ინტერესადა ვთვლით, რაც დიდ სახელმწიფოებმაც აღიარებს. ავსტრია-უნგრეთი მუდამ ერთგულია თავისს ნამდვილ ინტერესებისა, როცა დამხმარედ გამოდის ბალკანეთის სახელმწიფოების თავისუფალ განვითარებისა და მოიმედეა მათი დამოუკიდებლობისა.

ტისსას სიტყვა რამდენჯერმე შეაწყვეტინეს ტაშის ცემით და თანხმობის გამოცხადებით. კანონპროექტი მიიღეს.

ვენა. გრაფ ტისსას გაზეთი ვენის პარლამენტში იმპერ. ვილჰელმის იუბილეს ჩაშლის გამო სწერს: სლავიანებმა გერმანელებზე გაიმარჯვეს. რუსეთს ავსტრიის პარლამენტში უფრო ძლიერი პარტია ჰყავს, ვიდრე იმპერატორ ვილჰელმს. ეს გარემოება, როგორც ბალკანეთის ამბების შედეგი, ამტკიცებს, რომ ავსტრიელ სლავიანთა პოლიტიკა სახიფათოა მთელი ავსტრია-უნგრეთისთვის და გერმანიის თვალში მონარქიას, როგორც მოკავშირეს, ამცირებს.

სტამბოლი. სინოპში გაიგზავნა 480 გადასახლებული შეთქმულებაში მონაწილენი. გაგზავნილთ შორის 5 ვექილია, სამი ყოფილი დეპუტატი, ოთხი ჟურნალისტი, 15 ხოჯა და მღვდელი, სამსახურ გარეშე მყოფი გენერალი, 4 სათადარიგო აფიცერი, რამდენიმე მოხელე.

რუსეთი.

ლოძი. ლოძის მაზრაში დადგენილია საყოველთაო სწავლება შემოიღონ შვიდი წლის განმავლობაში. ამ გეგმით 75 სკოლის მაგიერ 466 იქნება.

კიევი. საოლქო სასამართლომ ბეილისს საბრალმდებლო ოქმის ასლი ჩააბარა. ბეილისს დაიცავენ ვექილები გრუზენბერგი, გრიგოროვიჩი, ბარსკი და მარგოლინი.

პეტრეზოვოდსკი. მღვდელ მონაზონ ინოკენტის ბალტისას საპატიმრო მცველების შეურაცხყოფისთვის თებერვალში 1913 წ. სასამართლომ ერთი წლით ციხე მიუსაჯა.

მუშათა ცხოვრება

◆ ნევის გემების ქარხნის გაფიცული მუშა-ბავშვები ადგილიდან დაითხოვეს.

◆ ოზოლინგის თუჯის სადნობ ქარხნის სპილენძის განყოფილებაში მუშები გაიფიცნენ. მიზეზი სამუშაო დღის გადიდებაა. ამავე ქარხნის მექანიკურ სახელოსნოს მუშებმა რამდენიმე ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინეს პატრონს.

◆ პალის თუჯის ქარხნის ადმინისტრაციამ მუშების დელეგატები მიიღო, რომლებმაც მოთხოვნილებანი წარუდგინეს. ადმინისტრაცია თანახმაა, დააკმაყოფილოს 12-დან ხუთი მოთხოვნილება. უარი სთქვა, სხვათა შორის, ქირის მომატებაზე და 1 მაისის უქმედ გამოცხადებაზე. გაფიცვა გრძელდება, მუშებს ჯერ არა გადაუწყვეტიათ რა.

◆ პალის ალექსანდრე-ნევსკის სამანიფაქტურო ფაბრიკის მუშების გაფიცვას შეუერთდნენ ფეიქრებიც. ეხლა მთელი ფაბრიკაა გაფიცული.

◆ კრუგის მექანიკურ ქარხნის მუშებმა ოცი ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინეს პატრონს (9 საათის სამუშაო დღე და სხ.)

◆ გაიფიცნენ ვეგმანის მექანიკური ქარხნის მუშები, რადგან დაითხოვეს ერთი მუშა. ამ ქარხანაში ამას წინად იყო გაფიცვა, მუშების მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს და მუშაობა განახლდა. ეგონათ არავის დაითხოვენო, მაგრამ ეხლა კი ერთი მუშა დათხოვნილი გამოდგა.

უცხოეთი

საარჩევნო ბრძოლა პრუსიაში.

პრუსიის ლანდტაგის უკანასკნელმა არჩევნებმა ცხადად დაამტკიცა, რომ არსებულ საარჩევნო კანონის ნიადაგზე ყოვლად შეუძლებელია ბრძოლა პრუსიის რეაქციის წინააღმდეგ. ამიტომ საკვირველიც არ უნდა იყოს, თუ ამ ბოლოს დროს საარჩევნო რეფორმის საკითხი მთელი თვისი სიგრძე-სიგანით კვლავ აღიმართა დემოკრატიის წინ. გერმანიის სოც.-დემოკრატია ახალ იერიშს ამზადებს პრუსიის იუნკერთა ციხის ასაღებად. იგი ცდილობს მოძრაობაში მოიყვანოს თვისი უძლიერესი საბრძოლველი იარაღი—საერთო გაფიცვა. საყურადღებოა, რომ დღეს თვით რევიზიონისტებიც კი ერთგული მომხრე არიან ისეთი უკიდურესი ღონისძიებისა, როგორიცაა საერთო პოლიტიკური გაფიცვა. 10 ივნისს (ახ. სტ.) ბერლინის ახლოს, ქ. ვილმერსდორფში გაიმართა მრავალრიცხოვანი სოც.-დემოკრატიული მიტინგი, რომელზედაც რეიხსტაგის დეპუტატმა ფრანკმა წაიკითხა თვისი მოხსენება პრუსიის საარჩევნო რეფორმის შესახებ. „ხალხმა უნდა დაანახვოს ყველას—სთქვა დეპუტატმა—რომ მას შესწევს ღონე თვისი უფლების დასაცველად. ხალხმა უნდა მოიპოვოს პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის-ყრის უფლება, რისთვისაც საერთო გაფიცვასაც კი არ უნდა მოერიდოს. რადგან პრუსიის საარჩევნო კანონი დიდ საფრთხეს უქადის საზოგადოებრივ მყუდროებას, ამიტომ მუშებთან ერთად ასპარეზზე უნდა გამოვიდეს წვრილი და შუათანა ბურჟუაზიაც“.

მიტინგმა ერთხმად მიიღო საერთო გაფიცვის რეზოლიუცია.

ინგლისის ფლოტის გაძლიერება.

შარშან კანადის კონსერვატულმა სამინისტრომ შეატყობინა იმპერიის მთავრობას, რომ კანადის პარლამენტმა გადასწყვიტა, ააშენოს სამი დრედნოტი და ინგლისის საზღვაო სამინისტროს განკარგულებაში გადასცეს. თანხმად ჩერჩილისა და ასკვიტის განცხადებისა ამ დრედნოტებს არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონოდა ინგლისის საზღვაო პროგრამაზე, რადგან იგინი დამატებითი ჯავშნოსნების რიცხვს უნდა მიმატებოდა. და მართლაც, როდესაც ჩერჩილი იმუშავებდა მომავალი ხუთი წლის საზღვაო პროგრამას, იქ ანგარიშში არ იყო ჩაგდებული ნაჩუქარი დრედნოტები, რადგან ინგლისისა და გერმანიის საზღვაო ძლიერების პროპორცია, 16:10, უცვლელადვე რჩებოდა, რაც ორივე სახელმწიფოს შეთანხმების საშუალებას აძლევდა. ახლა, როგორც ირკვევა, ინგლისის საზღვაო პროგრამა იცვლება და იცვლება სწორედ კანადისაგან დაპირებულ დრედნოტების მიზეზით. საქმე ისაა, რომ კანადის პარლამენტში კონსერვატულ უმრავლესობის წყალობით გავიდა ამ დრედნოტების აშენების კანონ-პროექტი, რომელიც ლიბერალურმა სენატმა ხმის დიდი უმრავლესობით უარჰყო. ამ გარემოებამ, რასაკვირველია მიიქცია ყურადღება ინგლისის საზოგადოებათა პალატისა. უნიონისტი დეპ. ლი შეეკითხა საზღვაო მინისტრს: რა გზას დაადგებით ახლა, როდესაც კანადისათვის შეუძლებელი გახდა თვისი დაპირების ასრულებაო. ჩერჩილმა უპასუხა, რომ კანადის სენატის საქციელი დაუყოვნებელ ღონისძიებათა მიღებას მოითხოვს, რათა ინგლისის ფლოტის უპირატესობა იგივე დარჩეს, რაც ადრევე ყოფილაო. მთავრობას ჯერჯერობით განზრახვა აქვს დაჩქარებით ააშენოს სამი ჯავშნოსანი, ისე რომ ის სამხედრო გემები, რომელთა კეთებაც 1914 წლის მარტისთვის უნდა დაწყებულიყო, 1915 წელს უკვე მზად იქნება. კონსერვატული პრესა სიამოვნებით მიეგება ჩერჩილის განცხადებას, ხოლო ლიბერალები საზარალოდ სთვლიან მთავრობის საზღვაო პროგრამის მოულოდნელად შეცვლას, რადგან, მათი აზრით, თუ ინგლისი მტკიცედ ადგია 16:10 პროპორციას გერმანიის საზღვაო ურთიერთობაში, [illegible] საჭიროა მაშინ დამატებითი ჯავშნოსნების აშენებაო. ეს ღონისძიება საშუალებას მისცემს გერმანიას, ეჭვი შეიტანოს იმ მოლაპარაკების გულწრფელობაში, რომელიც გამართული იყო საზღვაო შეიარაღების შესამოკლებლადაო.

წერილი რედ. მიმართ

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოდ 5 მაისს გამართულ სეირნობა-ბაზრისათვის შეიკრიბა ტფილისში შეწირულება შემდეგ პირთაგან:

აპოლონ ივანეს ძე კობახიძემ 2 მ., ვალერიან ივანეს ძე კობახიძემ 2 მ., თითო მანეთი: ლევან ჟორდანიამ, ნიკოლოზ პანიევმა, მიხეილ გვენცელაძემ, ვასო დურგლიშვილმა, ელენე დუმბაძისამ; ათ-ათი შაური: ნინო თავ. ტარიელ ავალიშვილის ასულმა, ოლღა მიხეილ ხუნდაძის ასულმა, ანნა ახალკაციშვილისამ, გოგოლა ბერეჟიანისამ, კოტე აბაშიძემ, დავით გაბისიანმა, არშაკ მახაროვმა, ნესტორ ერისთავმა, სიმონ კვინიხიძემ, №№, დიმიტრი ყურუამ, დიმიტრი პრისიაჟნიუკოვმა, არშაკ გინოსიანცმა, სარქის ტუნიევმა, ვასილი შოთაძემ, ალექსანდრე მეძმარიაშვილმა, მიხეილ დოლიძემ, ნეოფიტე ტაბუკაშვილმა, ეფრემ ხუნდაძემ, ერასტი ჯაფარიძემ, ვასილ ყიფიანმა; თითო აბაზი: №№, პრასიოლკოვმა, ანნა ხატიევისამ.

ქუთაისის განყოფილების გამგეობა უღრმესს მადლობას უცხადებს ტფილისელ შემომწირველთ და ბოდიშს იხდის, რომ აქამდე ვერ გამოაცხადა ეს სია.

გამგეობის მონდობილობით სეირნობის გამგენი: **მარიამ ვარდოსანიძის ასული და მელანია გველესიანისა.**

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა უძღვნათ იმ პირთ, რომელთაც საგურამოს სკოლის ღარიბ მოწაფეთა შესამოსად ნივთიერი დახმარება აღმოგვიჩინეს: კნ. ა. ა. ამილახვრისამ—5 მან. ბ. ექიმმა კობერიძემ 5 მან. გრ. ი. ბაბალოვმა—3 მან. ნ. ნ. სოლოლოვამ—2 მან. ი. გ. დავიდოვმა—2 მან. მღვ. გაბ. პარკაძემ—3 მ ნ. ნ. მ. ჩოლოყაშვილისამ—1 მან. ე. ბ. კოპლატაძემ 1 მან. №№—3 მან.

საგურამოს სკოლის მასწავლებელი **ანნა პარკაძისა.**

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4. **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3 **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზ. ვრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

[illegible] № 65, **საბარგო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საბ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67. უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 66 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 7 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **აჩქარებ.** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ** შუადღ. 2 ს 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე) № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 06, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს) ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აკაბაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

1004

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედამინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

მასწავლებელი ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომლო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს ოლ პანსიონზე.

ვერა. იზმაილოვის მიხვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა. 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, **„შრომის“** სტამბის გვერდით, სახლი № 2. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილ. 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი ტელეფ. [illegible]

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

ექიმი ა. ნ. [illegible]

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

არ გაგონილა!! მხოლოდ 2 მ. 95 კ.

ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 ძვირფასს ნივთს: 1. მშვენიერ მკვიდრ ჯიბის საათს კაცთათვის—„ოკერი“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ ფოლადისას, იმართება თვის ჭახრაკით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალი აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალთათვის საუცხოვო ყელის ძეწკვს, ახალი ფასონისა 3. შანა კინემატოგრაფი, კომპასით ან საუცხოვო სანახაობით. 4. ზამშის ბუდე საათისთვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“ პარიზულის თვალით 6. სათეატრო ბინოკლი უახრამატიულ შუშით ჩვეულებრივი ზომისა, რომელიც ფრიად მოშორებულ საგნებს აახლოვებს 7) ქურდებისაგან საათის დასაცავი. 8 პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა. 9. სამისო ექვსი მეტის მეტად საგულისხმო სურათი. ყველა ამის ფასი მხოლოდ 2 მ 95 კ., ორი წყება ღირს 5 მ. ნ. 50 კაპ. 4 წყება 10 მ. 50 კ. ზემოდ დასახელებული წყება საათით და მაღალი ღირსების ნივთებით ღირს 3 მან. 95 კ., 2 წყება 7 მ. 40 კ, ეს წყება ქალის საათით 3 მ. 70 კ ასეთივე საჩუქრებიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს**. გასაგზავნი ფასი ორ წყებამდე—40 კ., ციმბირში—75 კ. საათს ვგზავნით შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უსაწინდროდ.

მისამართი: ამხ—ობა „აკურატნოსტი“ (Аккуратность), **ვარშავა**, განყოფ. 95.

M. 32296. 1226

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

ილია ჭავჭავაძე:		აი ისტორია	35
კაცია ადამიანი?	20 კ	ცხოვრება და კანონი	25-
გლახის ნაამბობი	20—	კრიტიკული წერილები	25-
ოთარაანთ ქვრივი	18	პოლემიკური წერილები	10
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი	3	**ახლად მიღებული წიგნები:**	
სახრჩობელაზე	5—	შიო მღვიმის ამი სიგელი სარ. კაკაბაძისა	40
მგზავრის წერილები	7—	ანდერძი დავით აღმაშენებელისა, შიომღვიმისათვის დაწერილი	30
გლეხთა განთავისუფლება პირველ დროის სცენები	7—	სიგელი მსახურთ უხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წ შიო მღვ. დაწერ.	15-
უცნაური ამბავი	4	მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი 1447—1448 წ გიორგი IX ს მიერ ბოძებული	10-
რჩეული ლექსები	7		
განდეგილი	5—		
კაკო ყაჩაღი	5—		
დედა და შვილი	3—		
დიმიტრი თავდადებული	7—		

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

პეტერბ. საპოლიტექნიკო კურსები

ტეხნიკუმი (4 წელიწადია არსებობს)

პროფესორებისა და მასწავლებლების ამხანაგობისა.

დაარსებულია ტეხნოლოგ. ინსტიტ. პროფესორებისაგან: **გ. დეპისა, მ. ევა გულოვისა, ი. ხოლმოგოროვისა,** რიგის სამოსწავლო ოლქის ყოფილ მზრუნველის **დ. ლუვშინისა** და ინჟინ.-ტეხნოლოგის **ნ. ფორაქოვისაგან.** მექანიკური, ელექტრო-ტეხნიკური, საამშენებლო და კომერციულ-ეკონომიური განყოფილებანი. კურსები კარგი სახელმძღვანელოებისა და მოწყობილობისათვის **საიმპერატორო** ტეხნიკურ საზოგადოებისაგან დაჯილდოვებულია ვერცხლის დიდი მენდლით. მსმენელებს შეძლება აქვთ უმაღლ. სასწავლებელ სახელოსნოებში მუშაობისა. მიიღება ორივე სქესისანი. პროსპექტები გაიგზავნება 5 ორ-ორ კაპ. მარკის მოწოდებით. იქვე შეიძლება ცნობების მიღება **ელექტრომანტერების კურსების** შესახებაც.

СПБ. РАЗЪѢЗЖАЯ УЛ. № 40.

Метцлъ 87072. 1344.

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკ

ახალი მსხვილ მარცვლოვანი

ხიზილალა |ქიტ

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება

ლაზიაში მარტის დოში, იანი,

პა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნა

რი თევზეულობა დ

კონსერვები.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.